საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 4 ივლისი, 2014 წელი.

№129 (7510)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ნომრის ციტატა:

ოცნებავ, ოცნებად ნუ დარჩები და დროზე განაქორწინე „გნაცები“ და სახელმწიფოსა და ხალხის კრიჭაში ჩამდგარი გვარამიას ჯოჯოხეთის მსახური „ცისფერი კანტორა“... ნუთუ ვერ ამჩნევთ, რა მეთოდურად ანგრევს ეს ვირეშმაკა არხი თითოეული ჩვენგანის სანუკვარ ოცნებას!

„დამუქრების შემთხვევაში მოვალეს შეუძლია, კომპანიის წარმომადგენელს უჩივლოს“

3

თუ არ დაგვაფინანსეს, ვერ ავაშენებთ, თუ ვერ ავაშენეთ, არ დაგვაფინანსებენ

4

ბოლოს და ბოლოს, გიგი უგულავა დააკავეს

2

რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ახალი მაგისტრალის მშენებლობა განხილვის საგანი არ ყოფილა

ამის შესახებ პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან მოლაპარაკებების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ ჟურნალისტებს განაცხადა.

ზურაბ აბაშიძის ცნობით, საქართველოს მხრიდან ამ მიმართულებით არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს.

— ჩვენი ორმხრივი დიალოგის ფარგლებში აღნიშნული საკითხი განხილვის საგანი არ ყოფილა. ვკითხე ჩემს კოლეგებს და არც ისინი არიან საქმის კურსში. რუსეთს ნებართვა არ სჭირდება, რომ საკუთარ ტერიტორიაზე რაღაც ააშენოს. ორმხრივ ფორმატში, ეს რომ ერთობლივი პროექტი და ორ ქვეყანას შორის დამაკავშირებელი გზა ყოფილიყო, ამაზე საუბარი არ ყოფილა, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

პირველი აგვისტოდან რუსეთი საქართველოსთან დამაკავშირებელი ახალი ავტომაგისტრალის მშენებლობას იწყებსო. ამის შესახებ ინფორმაცია დაღესტნის ტელევიზიამ გავრცელა. ავარეთ-კახეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი დაღესტანზე გაივლის და მთლიანად ასფალტობეტონის საფარით მოპირკეთდება. რთული რელიეფის გამო სამუშაოები 30 მილიონამდე დაჯდება. რადგან 83 კილომეტრიანმა გზამ უნდა გაიაროს სამი მთა, საჭიროებს 25 ხიდისა და ხუთი გვირაბის აშენებას. „ავარეთ-კახეთის გზა იქნება უმოკლესი საქართველოსთან დასაკავშირებლად და შავ ზღვაზე გასასვლელად“, — აცხადებს დაღესტნის საგზაო სამსახურის უფროსი ზაგიდ ხუჩბაროვი.

საძმო საფლავები მოსაძებნია

9

ფასეულობები, რომლის გასხვისებაც არ შეიძლება

8

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ემდევნელი რუსები და დევნილი ქართველები

ამის შესახებ ნათქვამია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც გუშინ გამოცხადდა. რაც შეეხება კომპენსაციის ოდენობას, მხარეები ამის შესახებ 1 წლის განმავლობაში უნდა შეთანხმდნენ.

საქმე ეხება 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების შევიწროებასა და მათ მასობრივ დეპორტაციას. საქართველოს მთავრობამ გამომდინარე, გადაწყვეტილების შინაარსი ამ დრომდე უცნობი იყო.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის ექვსი მუხლი დაარღვია. ინფორმაციას ამის შესახებ სტრასბურგის სასამართლო ავრცელებს.

ამასთან, სტრასბურგის სასამართლოს ინფორმაციით, რუსეთმა დაარღვია ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციის მეოთხე მუხლი, რომელიც კრძალავს უცხო ქვეყნის მოქალაქეების კოლექტიურ დეპორტაციას.

სახელმწიფოთაშორისი საჩივარი რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში 2007 წლის 26 მარტს შეიტანა. საჩივარში საილუსტრაციოდ მოყვანილია 130-მდე ქართველის ინდივიდუალური შემთხვევა. 2009 წლის 15 დეკემბერს საქმის განმხილველმა პალატამ, საჩივრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქმე განსახილველად გადასცა სასამართლოს დიდ პალატას, სადაც 2011 წლის 31 იანვრიდან 4 თებერვლამდე, დიდი პალატის 17 მოსამართლის წინაშე, მოწმეთა დაკითხვა გაიმართა. საქმეზე ბოლო საჯარო სხდომა სტრასბურგის სასამართლოში 2012 წლის 13 ივნისს შედგა და პროცედურა დაიხურა. სხდომის შემდგომ თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, თუმცა, სათათბირო საიდუმლოების პრინციპიდან საქართველოს სახელმწიფოთაშორისი საჩივარი

საქართველოს სახელით გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჩაიბარა. აღნიშნულ საქმეზე სახელმწიფოს ინტერესებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იცავდა. სამინისტროს დელეგაციაში იყვნენ ასევე მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ლევან მესხორაზე. რუსეთის მხრიდან გადაწყვეტილებას რუსეთის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კახა კალაძემ ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძეს კონტრაბანდისტები უწოდა

მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რას გულისხმობდა კახა კალაძე, როცა თქვა, რომ საქართველომ შეგნებულად არ გაიფუჭა აზერბაიჯანთან ურთიერთიობები. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა.

— რამდენიმე დღის წინათ კონტრაბანდისტები დააკავეს, შეაჩერეს 4 საათის განმავლობაში. ქალბატონი ნადირაშვილი იყო გვარად, მგონი და ჯაფარიძე, რომელთაც დიდი ოდენობით თანხები გადმოჰქონდათ, შავი ფული. „ნაციონალური მოძრაობისთვის“ შავი ფული, როგორც ჩანს, სიახლე არ არის, ბევრი სხვადასხვა გარემოებებიდან იკვეთება. არა უშავს, ყველას მოეთხოვება, ყველას მოუწევს პასუხის გაცემა ჩადენილ დანაშაულზე, — აღნიშნა კახა კალაძემ.

— დეტალები ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ეს ყველაფერი მიჩუმათდა, რადგან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თემა იყო. ამის გამო ყველაფერი ჩაწყნარდა და არც ჩვენ მივყევით ბოლომდე. თუ გახსოვთ, როცა ეს ორი პიროვნება თბილისის აეროპორტში ჩამობრძანდა, ბატონმა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აზერბაიჯანში განიხილავდნენ მარნეულსა და გარდაბანში მიმდინარე მოვლენებს. როცა ჩვენ ჩვენი კანდიდატი მარნეულში მოვხსენით, ეს ზუსტად იმის გამო გავაკეთეთ, რომ გვქონდა ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ეთნიკურ ნიადაგზე მარნეულის რაიონში არეულობის მოწყობას გეგმავდა, — აღნიშნა კალაძემ.

ნარმანია უნებართვო მიშენებებზე სამშენებლო ამნისტიას გეგმავს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კოალიციიდან აცნობეს, დავით ნარმანიამ დიდუბის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ მათ, ვისაც უნებართვო მიშენებებზე ჯარიმა აქვს დაკისრებული, მოეხსნებათ, უკანონო მიშენება კი დაუკანონდებათ. სამომავლოდ კი, მისივე თქმით, მიშენებებზე შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე ნებართვა ვერ გაიცემა.

დავით ნარმანიამ სოციალურ პროგრამებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი და მზრუნველობას მოკლებული თითოეული ოჯახი თბილისის მერიის მხრიდან მიიღებს სოციალური დაცვის პროგრამებში მონაწილეობას, რაც მათ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს.

მისივე თქმით, თითოეულ თბილისელს შეუძლია ისარგებლოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის თანამედროვე სისტემით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ქალაქში იმოძრავებს ადაპტირებული ტრანსპორტი, გაუმჯობესდება საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა და სერვისი.

◎ სამართალი პურს ჭამს?

ბოლოს და ბოლოს, გიგი უგულავა დააკავეს

თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა გუშინ დაახლოებით 06.00 საათზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. მასთან ერთად აეროპორტში იმყოფებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი წევრი გიგა ბოკერია. გიგი უგულავა გიგა ბოკერიასთან ერთად კიევში მიფრინავდა.

გიგი უგულავა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა საზღვრის გადაკვეთის დროს აიყვანეს. გამომძიებლებმა უგულავას ბრალი აეროპორტშივე გააცნეს. უგულავას უკანონო თანხების ლეგალიზება ედება ბრალად.

გიგი უგულავა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან ე.წ. მოდულის შენობაშია გადაყვანილი.

თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას, „დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებთან“ ერთად, „ნაციონალური მოძრაობის“ დასაფინანსებლად ე.წ. „შავი ფულის“ მართლსაწინააღმდეგოდ შემოტანას ედავებიან. გიგი უგულავას დაკავებასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში განცხადება გაკეთდა, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

— ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დააკავა გიორგი უგულავა. გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი უგულავა, როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი, დანაშაულში ჩართულ სხვა წევრებთან ერთად, მათ შორის, ამავე საქმეზე დაკავებულ მის ქვისლ გიორგი ღონიაშვილთან და ლატარიის კომპანიის ყოფილ დირექტორთან, დავით კეზერაშვილის ბიზნეს-პარტნიორ ალექსანდრე გოგოხიასთან ერთად, ახორციელებდა ერთ-ერთი ოფშორული კომპანიიდან საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ე.წ. „შავი ფულის“ მართლსაწინააღმდეგოდ შემოტანას, რაც შემდგომში უნდა მოხმარებოდა პოლიტიკური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას. კერძოდ, ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული, დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანიიდან, „ექსიმფს ჰოლდინგიდან“, რომლის დირექტორიც არის ბრალდებულის სახით ძებნილი ალექსანდრე გოგოხია, ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე თანხა ირიცხებოდა ასევე ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის, „ბრუქთრეიდის“ ანგარიშზე, საიდანაც ფიქტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა უკვე ხვდებოდა საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაში, ხდებოდა აღნიშნული თანხის კონვერტაცია და გიორგი ღონიაშვილზე გადაცემა. პატიმრობაში მყოფი ღონიაშვილი, თავის მხრივ, უკანონო შემოსავალს გადასცემდა გიორგი უგულავას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მიზნით. საერთო ჯამში, ოფშორული კომპანიიდან საქართველოში ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე ფულის გათეთრების გზით უნდა გადმორიცხულიყო 1 500 000 აშშ დოლარი, ხოლო გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად განხორციელდა მხოლოდ 760 000 აშშ დოლარის გადმორიცხვა. აღნიშნული თანხა გიორგი უგულავამ გამოიყენა პარტიული მიზნებისთვის.

რაც შეეხება ამავე საქმეზე დაკავებულ გიორგი ღონიაშვილს, სასამართლომ მას უკვე შეუფარდა წინასწარი პატიმრობა, ხოლო ალექსანდრე გოგოხიას მიმართ გამოცხადებულია ძებნა. გიორგი უგულავა დაკავებულია სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-12 წლამდე ვადით.

საქმეზე მიმდინარეობს შემდგომი ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების იდენტიფიცირების მიზნით.

შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, გიგი უგულავა გაფრთხილებული იყო, რომ ქვეყნის ტერიტორიიდან არ გასულიყო. მისი ინფორმაციით, უგულავა ფინანსურმა პოლიციამ გააფრთხილა, რომ კვლავ დაკითხვაზე იყო დაბარებული. ამის შესახებ ჭიკაიძემ ჟურნალისტებს გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. ჭიკაიძე უგულავას დაკავების პოლიტიკურ საფუძვლებს გამორიცხავს.

„ის ბრალდებულია მრავალ ფინანსურ მაქინაციაში, სახელმწიფო ფულის გაფლანგვაში. პროკურატურა ამ საქმეებით არის დაკავებული. გამოძიება ობიექტურად და სწორი მიმართულებით მიდის. მას პრობლემა აქვს ქვეყნის ბიუჯეტის ფულის გაფლანგვასთან და მაქინაციებთან დაკავშირებით, გაფრთხილებული იყო რომ ქვეყნის ტერიტორიიდან არ გასულიყო. ფინანსთა საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გაფრთხილების მიუხედავად, მან გადაწყვიტა ქვეყნის დატოვება, რის გამოც მოხდა მისი დაკავება. — ასეთი განმარტება გააკეთა ჟურნალისტებთან საუბრისას შინაგან საქმეთა მინისტრმა გიგი უგულავას დაკავებასთან დაკავშირებით. მინისტრმა აქვე აღნიშნა, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია და ვინც კანონს დაარღვევს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უნდა მიეცეს.

— მორატორიუმს რაც შეეხება, მინდა, განვმარტო, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გიგი უგულავა აპირებდა მიმალვას, აპირებდა თავი აერიდებინა საგამოძიებო მოქმედებებისთვის, შესაბამისად, აქედან გამომდინარე, გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობით იქნა აყვანილი. გუშინდელი დღის განმავლობაში გიგი უგულავამ ორჯერ შეცვალა გამგზავრების მიმართულება, ჯერ ჰქონდა ერთი ბილეთი, შემდეგ აიღო მეორე. არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ ის აღარ დაბრუნდებოდა საქართველოში, — განაცხადა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა გიორგი გრძელიშვილმა.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ დააკავეს გიგი უგულავა, მაშინ, როდესაც დააკავეს მისი ქვისლი გიორგი ღონიაშვილი, გრძელიშვილი განმარტავს, რომ „როდესაც დააკავეს ღონიაშვილი, მაშინ იყო შეკრებილი საკმარისი მტკიცებულებები. გამოძიების ამ ეტაპზე შეიკრება უგულავას წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები, შესაბამისად, მოხდა მისი დაკავება“.

გიგი უგულავას 9-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

„დამუქრების შემთხვევაში მოვალეს შეუძლია, კომპანიის წარმომადგენელს უჩივლოს“

„ბანკიდან მირეკავენ!..“, „პრობლემური განყოფილების ნომერია!..“, „ბანკის ვალის გამო შეცვალე ნომერი“ — ეს ფრაზები ლამის ყოველდღე გვესმის. პრობლემების მიუხედავად, მსესხებელთა რაოდენობა მატულობს. ზოგჯერ, ერთსა და იმავე ბანკში, პრობლემურ კლიენტებს კიდევ უმტკიცებენ სესხებს, რაც საქმეს კიდევ უფრო ართულებს...

ბოლო დროს ბანკთან ურთიერთობა ურჩ გადამხდელთა ნაწილისთვის კომედიად იქცა, ბევრისთვის კი, ტრაგედიად. პრობლემური განყოფილებებისა და იმ იურიდიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც ვადაგადაცილებულ მსესხებელთა საქმეები გადაეცემათ, მუდმივად უკავშირდებიან ურჩ გადამხდელებს. ამ სტრესს ზოგი უძლებს, ზოგიც — ვერა...

შევეცადეთ, გაგვერკვია, რამდენად მიზანშეწონილია სესხის ამოღების გავრცელებული მეთოდები; სად გადის ზღვარი კანონიერებასა და უკანონობას შორის, ასევე, როგორ რეგულირდება ურთიერთობა ბანკსა და ურჩ გადამხდელს შორის განვითარებულ ქვეყნებში და რატომ არის იქ ბანკთან ურთიერთობა მოქალაქისთვის ბევრად კომფორტული, ვიდრე საქართველოში...

რა ეტაპებს გადის პრობლემური მოვალე, სანამ საქმე იურიდიულ ფირმას გადაეცემა, ამის შესახებ ჩვენი რესპონდენტები საუბრობენ:

ანონიმი: „ხშირად მოვალეებს ავიწყდებათ, რომ სესხს გადახდა უნდა და ამის ბანკიდან შეხსენება ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. თუ მაინც არ გადაიხადეს, უკვე მოვითხოვთ. ეს მოთხოვნა არ უნდა გადაიზარდოს მუქარაში, შეურაცხყოფაში, დამამცირებელ საუბარში, თუმცა, შევახსენებთ, რომ არსებობს სასამართლო... ამანაც თუ არ გაჭრა, საქმე კერძო კომპანიებს გადაეცემათ, რომლებიც თავიანთ თავზე იღებენ სესხების ამოღებას. მოქალაქეები ხშირად უჩივიან მათ ქმედებებს, რომ ისინი ამცირებენ, შეურაცხყოფას აყენებენ. კანონით, არ შეიძლება ღირსების შელახვა, მუქარაც აკრძალულია და დამცირებაც. თუმცა, ეს ზოგადი ნორმებია და კონკრეტული პასუხისმგებლობის დაკისრება ამის გამო რთულად მისაღწევია“.

სვეტლანა გიორგობიანი, დაზარალებული: „ბინა, სადაც ვაჟთან და მის ცოლ-შვილთან ერთად ვცხოვრობდი, ორჯერ ყოფილა იპოთეკით დატვირთული. ჩემი შვილისთვის ბავშვობის მეგობრის ცოლს უთხოვია, საქმისთვის მჭირდება და უარს ნუ მეტყვიო, მანაც ხათრი ვერ გაუტეხა. ეს ამბავი მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა მესამედ ჩადო ბინა იპოთეკაში. ჩემი შვილი მუდმივად განერვიულებული იყო, სულ ვიღაცები ურეკავდნენ, ხან პასუხობდა, ხან — არა, რაც დედის თვალს არ გამოპარვია. არაერთხელ ვთხოვე, მითხარი, რა დაგემართა-მეთქი,—ბოლოს მითხრა, დედა, ქუჩაში ვრჩებითო... გაირკვა, რომ ის ქალი, მისი მეგობრის მეუღლე, საქართველოდან წასულა. ჩვენ გადახდის საშუალება არ გვქონდა. ჩემმა შვილმა სტრესს ვერ გაუძლო და 2011 წლის პირველ მარტს თავი მოიკლა. მალე ბინიდანაც გაგვასახლეს...“

დავითი, 37 წლის, თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტორი: „2008 წლის ომის დროს, 8 აგვისტოს, ცხინვალის მისადგომებთან, ნაძვნარში ვიყავით განლაგებული, როდესაც ერთ-ერთი ბანკიდან დამირეკეს - პროცენტის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმა დაგეკისრებათო... ომის დროს დავიჭერი და ღუდუშაურის კლინიკაში აღმოვჩნდი. ბანკიდან მუდმივად მირეკავდნენ, რომ სოლიდური თანხის გადახდა მომიწევდა... გავიგე, რომ ჩემს დღეში ბევრი ჯარისკაცი იყო“.

ნინო, 34 წლის: „ჩემმა მეუღლემ ბანკიდან სესხი გამოიტანა, რომ ავტომანქანა გვეყიდა და „ეტაქსავა“. ქირით ვცხოვრობთ, რასაც კომუნალური გადასახადებიც ემატება და რამდენიმე თვის შემდეგ პროცენტის გადახდა ვერ შევძელით. საბოლოო ვადის ამოწურვამდე დაგვირეკეს და გაგვაფრთხილეს, ჯარიმა დაგეკისრებათო. მეუღლემ ახლობლებისგან ისესხა თანხა პროცენტების გადასახდელად, შემდეგ კი იმავე ბანკში მეორე სესხი აიღო, რათა ის ვალები დაეფარა და პირველი სესხის ნახევარი მაინც დაეფარა... იმავდროულად, განვადებებით რამდენიმე აუცილებელი ნივთი გამოვიტანეთ — ღამე შინ რომ მემუშავა, კომპიუტერი მჭირდებოდა და განვადება გავაკეთე. გასავალი საერთო შემოსავალზე ბევრად მეტი იყო და სესხის პროცენტი ისევე გადაუხდელი დაგვრჩა. მალე ისევ დაგვიგროვდა ვალები და ახლა სხვა ბანკში ავიღეთ სესხი. ამჟამად დავალიანება 4 ათას ლარამდეა... რამდენიმე თავდები გვყავს და უკვე მათაც უკავშირდებიან. ახლახან ერთ-ერთთან შინ მისულან და უთქვამთ, თუ ბანკის დავალიანებას მათ არ გადაახდევინებთ, თქვენ ჩამოგართმევთ ქონებასო. ისინი კი ჩვენ გვირეკავენ, გვეუბნებიან, რომ „შავ სიაში“ მოვხვდებით, არადა, უკვე ვართ. არაერთხელ დარეკეს ჩემს სამსახურშიც, რაც ძალიან მძიმედ მოქმედებს ჩემზე. ვალების გასასტუმრებლად ვმუშაობთ, მაგრამ პროცენტები უკვე იმდენზეა ასული, არ ვიცი, მისი დაფარვა ამ ცხოვრებაში მოესწრება თუ არა...

საქართველოში ვალების ამოღებაზე რამდენიმე კომპანია მუშაობს: შპს „საიმედო აუქციონი“, შპს „კაპტო რეალთი“, „ტრიბა“, „აქტივების მართვის ჯგუფი“, „IM ჯგუფი“. მათი იურიდიული სამსახურებიდან ურჩ გადამხდელ კლიენტებს უკავშირდებიან და დავალიანების გადახდის მკაცრი და საბოლოო გრაფიკის შედგენაზე მუშაობენ.

კერძო კომპანიების გარდა, პრობლემური სესხების ამოღებაზე მუშაობენ თავად კომერციულ ბანკებში შექმნილი სტრუქტურებიც.

„შავი სია“ მოქალაქეებმა დაარქვეს „კრედიტინფო საქართველოს“ ბაზებს, რომელიც მათ საკრედიტო ისტორიებს ასახავს. მსგავსი ორგანიზაციები ევროპაშიც არსებობს, ეს მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ მათ საქმიანობას იქ სპეციფიკური კანონები არეგულირებს. ასეთი დაწესებულებები ბიზნესურთიერთობებში რისკების გათვლის შესაძლებლობას იძლევა და საკრედიტო ისტორიების არსებობაც მოსახერხებელია, მაგრამ ეს მოქალაქეთა უფლებებს არ უნდა არღვევდეს.

საქართველოში საკრედიტო ინფორმაციის მიღება ყველას შეუძლია, ვინც „კრედიტინფო საქართველოსთან“ მემორანდუმს გააფორმებს. არადა, მოქმედი კანონმდებლობით, ნებისმიერი ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაცია ერთმა ორგანიზაციამ მეორეს რომ გადასცეს, ამისთვის ამ ადამიანის თანხმობაა აუცილებელი.

გიორგი კეპულაძე, ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელი: „ბევრი პრობლემა დაგროვდა 2008 წლის ომის შემდეგ, უამრავმა ადამიანმა ერთდროულად დაკარგა ბიზნესი და სამსახური, რამაც სესხები პრობლემური გახადა. ბანკი ყველანაირად ცდილობს თანხის დაბრუნებას და ამაში გასაკვირი არაფერია. რადგან ზოგჯერ მოვალეები იმალებიან, თავს არიდებენ ან რაღაც ხრიკებით ცდილობენ ბანკის წინაშე პასუხისმგებლობისგან გაქცევას. მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ ამას ვერ შეძლებენ, რადგან ბანკთან ურთიერთობა ხელშეკრულებით აქვთ გაფორმებული. როცა რომელიმე მხარე ხელშეკრულებას არღვევს, ეს უნდა აღიკვეთოს. რამდენიმე მომხმარებელმა შემოგვჩივლა, რომ მათ პირდაპირ ემუქრებოდნენ. ხშირად ამ გზას პრობლემური სესხის მმართველი კომპანიები მიმართავენ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, რბილად რომ ვთქვათ, იდეალურად არ მუშაობენ. დამუქრების შემთხვევაში მოვალეს შეუძლია, კომპანიის წარმომადგენელს უჩივლოს“.

ლია ელიავა, საბანკო ურთიერთობათა ექსპერტი: „ბევრი კომერციული ბანკი პრობლემურ სესხებს კოლექტორულ სააგენტოებს გადასცემს. საქართველოში რამდენიმე კოლექტორული სააგენტო მოქმედებს, რომლებიც ათამდე ბანკს ემსახურება. ეს საქმიანობა კანონით აკრძალული არ არის, მაგრამ არც კანონით რეგულირდება. ამიტომ მასზე ზედამხედველობასაც არავინ ახორციელებს. კომერციული ბანკები კოლექტორულ სააგენტოებს გადასცემენ უფლებას, მსესხებლისგან ამოიღონ თანხა და რა სახით მოხდება ეს - მორიგებით თუ სასამართლოს მეშვეობით, არ არის დაკონკრეტებული... საქართველოში ისეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა, რომ კოლექტორული სააგენტოების თანამშრომლები, ვისაც ბანკის მოვალეებთან აქვს კონტაქტი, ტრადიციულად, ყოფილი სამართალდამცველები არიან. ბევრი მოვალე ამბობს, რომ ისინი ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებენ მათზე, რაც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია. თუმცა, მოვალეები თავს არიდებენ ასეთი ფაქტების გამხელას, რადგან ბანკის წინაშე დამნაშავე არიან ვალის გადაუხდელობის გამო.

უცხოეთშიც არსებობს კოლექტორული სააგენტოები, მაგრამ მათ საქმიანობას სახელმწიფო ორგანიზაციები აკონტროლებენ. არსებობს სპეციალური ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც ასეთი სააგენტოების საქმიანობასა და მოვალეებთან ურთიერთობის წესებს განსაზღვრავენ. მაგალითად, აგენტს უფლება არ აქვს, იმოქმედოს დილის 9 საათამდე და საღამოს 10 საათის შემდეგ. უფლება არ აქვს, მოვალეს მიაკითხოს სამსახურში ან შინ, მხოლოდ ტელეფონით უკავშირდება და მისი თანხმობის შემთხვევაში ხვდება. ასევე არ აქვს მუქარის უფლება. ეს ყველაფერი კანონის ჩარჩოებშია მოქცეული“.

ლალი პაპასკირი

◎ ალიანჩალიანი

ბერიკაშვილისთვის გაუგებარია, რამ გააანალიზა ისაკაძე

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბერიკაშვილმა სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამინისტრო მიზანმიმართული კრიტიკის ობიექტი მაინც ხდება.

—ძალიან გულდასაწყვეტია, როცა მაინც ვხდებით მიზანმიმართული კრიტიკის ობიექტი. თუნდაც სულ ახალახანს სრულიად უსაფუძვლო მითქმა-მოთქმის ეპიცენტრში მოექცა კულტურის სამინისტრო, როდესაც ლიანა ისაკაძის ცნობილ კლასიკურ მუსიკის ფესტივალს შეეხო საზოგადოება. შეუძლებელია ვინმე შეეწინააღმდეგოს ამ ფესტივალის არსებობას, რომელიც ბიჭვინთიდან დაიწყო, ბორჯომში გაგრძელდა და დღეს წარმატებით ხორციელდება აჭარაში, — აღნიშნა ბერიკაშვილმა.

მისივე თქმით, ლიანა ისაკაძის შემოქმედება და საერთაშორისო მოღვაწეობა ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების თვალსაზრისთ ფასდაუდებელია და ეჭვგარეშეა, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერა დიდი მუსიკოსის ამ მნიშვნელოვან საქმიანობაში. როგორც მანანა ბერიკაშვილმა აღნიშნა, შარშანაც და წელსაც კულტურის სამინისტრომ 110 000 ლარით დააფინანსა ლიანა ისაკაძის ფესტივალი „ღამის სერენადები“ გონიოში.

„საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოციერების ხელშეკრულებას და უკვე დროა, ჩვენი საზოგადოების ნაწილი გამოვიდეს საბჭოთა კავშირის დროინდელი რეტროგრადული აზროვნებიდან, როდესაც ყველაფერს სახელმწიფო აფინანსებდა“, — განაცხადა ბერიკაშვილმა.

ლიანა ისაკაძის ფესტივალთან დაკავშირებულ საკითხს მან გაუგებრობა უწოდა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კულტურის სამინისტროს არასდროს ეჭვქვეშ არ დაუყენებია და არც ყოფილა განხილვის საგანი, დაუდგებოდა თუ არა მხარში წელსაც კულტურის სამინისტრო ამ ფესტივალს.

ლიანა ისაკაძემ კულტურის სამინისტროს მხრიდან ფესტივალისთვის არასაკმარისი თანხების გამოყოფის გამო საყვედური გამოთქვა. ისაკაძემ მიმართვა გააკრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ „თუ საქართველოს არ უნდა ჩემი ბათუმის ფესტივალი, მაშინ მე საერთოდ აღარასდროს თბილისში აღარ ჩამოვალ, ვინაიდან მე მაქვს უფრო საინტერესო გეგმები“. ამასთან, ისაკაძე სინანულს გამოთქვამს, რომ საქართველოს მოქმედმა ხელისუფლებამ მისი საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ არაფერი იცის.

— როგორც მე ვატო მაჭავარიანმა გადმომცა, თურმე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკის უთქვამს მისთვის, რომ ლიანა ისაკაძემ თავისი ფესტივალით „გაგვძვარცვაო“ და ერთი ვიოლინო მაინც ეყიდა ათწლეულისთვისო!! ეს მე ძალიან მეწყინა და მივხვდი, რომ ახალმა მთავრობამ არაფერი იცის ჩემს საქველმოქმედო მოღვაწეობაზე, — წერს ლიანა ისაკაძე და გაწეული ქველმოქმედების შესახებ საუბრობს.

ვინ აბაგებს პორტს ანაკლიაში?

ანაკლიის პორტის პროექტში მონაწილეობაზე ინტერესთა გამოხატვა მომავალი კვირიდან გამოცხადდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპარტნიორო ფონდიდან აცნობეს , საერთაშორისო გამოცდილების მქონე საინჟინრო-საკონსულტაციო იაპონურმა კონსორციუმმა - Oriental Consultants Company Limited, რომელიც საპარტნიორო ფონდის დაკვეთით შავი ზღვისპირა აკვატორიაში ახალი პორტის გასავითარებლად კვლევას ახორციელებდა, უკვე დასრულა მუშაობა და პორტისთვის საუკეთესო ადგილად ანაკლია შეარჩია. როგორც საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა, პორტი, რომელიც ანაკლიაში აშენდება, შეძლებს მსხვილი გემების (ე.წ. „პანამაქსის“) მომსახურებას.

—საერთაშორისო კვლევების მიხედვით საკონტეინერო გადაზიდვების მაჩვენებელი ყოველწლიურად 18 პროცენტით იზრდება, რამაც დღის წესრიგში დააყენა საქართველოში ახალი პორტის აშენების საჭიროება. მით უმეტეს, რომ ჩვენს მოქმედ პორტებს — ბათუმსა და ფოთს პრაქტიკულად ათვისებული აქვთ საკუთარი სიმძლავრეები, — განაცხადა კოვზანაძემ.

◎ სახელმწიფო ბიუჯეტი

მოჯადოებული წრე?!

თუ არ დაგვაფინანსეს, ვერ ავაშენებთ, თუ ვერ ავაშენეთ, არ დაგვაფინანსებენ

წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რამდენიმე ინდიკატორული მაჩვენებლის შესრულება, მათ შორის, ისეთი უმნიშვნელოვანესისა, როგორიცაა შემოსავალი, დიდად საეჭვოა. ამის მტკიცების საფუძველი ყოველთვიურად და ყოველკვარტალურად დაგეგმილი პარამეტრების შეუსრულებლობაა. ასეა ამჯერადაც, როცა, წინასწარი მონაცემებით, სახელმწიფო ბიუეტის შემოსავალს, წლის განვლილ პერიოდში, სავარაუდოდ, 100-110 მილიონი ლარი დააკლდება.

ამ მეტად საგანგაშო ჩავარდნის მიზეზად, მთავრობაში სახელმწიფო ბიუჯეტის საპარამეტრო მაჩვენებლებით გათვალისწინებული უცხოური გრანტებისა და კრედიტების მნიშვნელოვანი დანაკლისია – წლის დამდეგიდან გრანტების გათვალისწინებული ოდენობის მხოლოდ 46,5 პროცენტი, კრედიტებისა კი სულ 34,7 პროცენტი მივიღეთ. ხუთ თვეში ბიუჯეტის 100 მილიონი ლარი გრანტები უნდა შემოსულიყო, თუმცა კი, მისმა ოდენობამ 46,5 მილიონი ლარი შეადგინა. წლის პირველ ნახევარში საქართველოს უცხოელი პარტნიორებისგან 276 მილიონ ლარზე ოდნავ მეტი შეღავათიანი სესხი უნდა მიეღო, თუმცა კი, იანვარ-მაისში მხოლოდ 95,7 მილიონი ლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი გაიხსნა, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გეგმური პარამეტრის 34,7 პროცენტია.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ, რაც შეეხება ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმას, აქ პრობლემები, ფაქტობრივად, არ არსებობს, ხოლო ზოგიერთი მიმართულებით გადაჭარბებითაც კია შესრულებული.

საბიუჯეტო ჩავარდნის შედეგი კი ისაა, რომ ბევრი სახელმწიფო დაფინანსებით შესასრულებელი პროექტი ჩავარდა, რასაც განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების ტემპის საგრძნობი შენელება მოჰყვა. კერძოდ, წლის პირველ ნახევრში ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე 230 მილიონ ლარზე მეტი უნდა დახარჯულიყო, სადღეისოდ კი, საგეგმო მაჩვენებლის ნახევარზე ოდნავ მეტი, 121 მილიონი ლარია (48 პროცენტი) ათვისებული. მათ შორის, ცალკეა აღსანიშნავი, რომ ჩქაროსნული ავტოსაგზაო მაგისტრალის მშენებლობაზე, გეგმით, 131 მილიონი ლარი უნდა გაეღოთ, ხუთი თვის მანძილზე კი ამ მიზნით მხოლოდ 57 მილიონი ლარი, ანუ ნახევარზე ნაკლებია დახარჯული, რაც მისი ამოქმედების ვადას გადაწევს, რაც, თავის მხრივ, ბევრ სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელზეც უარყოფითად აისახება.

ცუდი შედეგია რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება-რეაბილიტაციის მხრივაც. ექვსი თვის საგეგმო პარამეტრით ამ მიზნით 127,5 მილიონი ლარი უნდა დახარჯულიყო, მაგრამ იანვარ-მაისში საამისოდ მხოლოდ 36 მილიონი ლარის გაღება გახდა შესაძლებელი, რაც უაღრესად ცუდი მაჩვენებელია. არსებულ ვითარებას კიდევ უფრო მეტად ის გარემოება ამძაფრებს, რომ მხარეებში უგზოობაზე გაცილებით უფრო მძაფრია მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. როგორც ჩანს, ბევრ ადგილას მისი დადებითად გადაჭრა იმის გამო ვერ მოხერხდება, რომ ნახევარი წლის მანძილზე დაგეგმილი 50 მილიონი ლარის ნაცვლად, სხვადასხვა კუთხეში ამ მიზნით მხოლოდ მესამედი, სულ 17 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაოები შესრულდა.

ამ ისედაც უხეირო შედეგს ერთი გარემოებაც ამძიმებს, კერძოდ ის, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების თითქმის სამ მეოთხედს (60-70 პროცენტს) საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ ცალკეული ტრანშებით. მორიგი ტრანში შემსრულებლებს, რომელიც ამ შემთხვევაში ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროა, მას შემდეგ ერიცხება, რაც იგი უკვე დაფინანსებული პროექტების შესრულების თაობაზე სათანადო ანგარიშს წარადგენს. იმის გამო, რომ ახლა ასეთი დოკუმენტები წარდგენილი ვერ იქნება, შესაბამისად, საერთაშორისო დონორები მორიგ ტრანშებსაც არ გამოყოფენ.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან და შემდგომ დაფინანსებასთან დაკავშირებით არსებულ აშკარად არასახარბიელო მდგომარეობაზე დაწვრილებით იმიტომ ვილაპარაკეთ, რომ ამ სფეროში საქმე უფრო ფართომასშტაბიან სამუშაოებთან გვაქვს, რომელთა განსახორციელებლად დიდი თანხებიცაა საჭირო, ასევე დიდი მოცულობის სამუშაოებიცაა შესასრულებელი, რისი შედეგი მხარეებში მცხოვრები მოსახლეობის დიდ ნაწილს უშუალოდ ეხება. მაგრამ უბედურება ისაა, რომ მსგავსი მდგომარეობაა სხვა დარგებშიც, სადაც განსახორციელებელ პროექტებსა თუ პროგრამებზე ხარჯიც ნაკლებია გასაწევი და ძალისხმევაც ნაკლებია საჭირო. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, ჯანდაცვის სფერო, სადაც, უწინარესად, მოსახლეობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამედიცინო დაწესებულების სარეაბილიტაციო პროექტების დროული განხორციელება შეფერხებულია. საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან წლის პირველ ნახევარში 5,4 მილიონი ლარი (წლიური ინდიკატორული მაჩვენებელი 29,2 მილიონი ლარია) უნდა გაეღოთ, მაგრამ რეალურმა ხარჯმა სულ რაღაც 646 ათასი ლარი შეადგინა, რასაც ინფექციურ საავადმყოფოთა მშენებლობის პროცესის შეჩერებას უკავშირებენ, ეს კი, წლის მანძილზე დასახარჯი თანხის ოდენობის გათვალისწინებით, ნამდვილად საგანგაშოა. ასეთივე სავალალო მდგომარეობაა ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის მხრივაც – ამ მიზნით ექვს თვეში 300 ათასი ლარის ნაცვლად 109 ათასი დაიხარჯა იმის მიუხედავად, რომ ჯანდაცვის სფეროში ეს პრობლემა პრიორიტეტულადაა მიჩნეული.

ბევრი პრობლემაა სხვა დარგებშიც, ამდენად, პირველი ექვსი თვის საბიუჯეტო გარღვევა, სავარაუდოდ, წლის ბიუჯეტზე ცუდად აისახება, თუმცა კი, მანამდე დრო კიდევ არის, ამდენად, მთავრობას თავისი ძალების სრული მობილიზებით, მრავალჯერ გაზრდილი ძალისხმევით მუშაობა მოუწევს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ რა იქნება?

ქართული ატამი, ბალი და მოცვი – რუსეთისკენ

დაუხურავს კარს მოსკოვი საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციას?

რუსი სპეციალისტების სტუმრობის შედეგად რუსეთის ბაზარზე ათობით ტონა ხილი გაიტანეს. რუსეთის ბაზარზე დაშვებული ხილისა და ბოსტნეულის ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, თუმცა, ჯერ მხოლოდ რამდენიმე სახეობაა გატანილი. ჩაიკეტება თუ არა რუსეთისკენ ახლად გაკვალული საექსპორტო გზა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების გამო?

ახალი კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ბალი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ქლიავი, ხურმა, კივი, კენკროვანი ხილი რუსეთის ბაზარზე 2014 წლის 26 მაისიდან დაუშვეს, რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ფედერალური სამსახურის – „როსელხოზნადზორის“ დასტურის შედეგად. თუმცა, როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა ვერიკო გულუამ უთხრა რადიო „თავისუფლებას“, მაღალი ფიტოსანიტარიული რისკის ჯგუფში გაერთიანებული პროდუქტებიდან ამ ეტაპზე რუსეთის ბაზარზე მხოლოდ სამი სახეობის გატანა მოხერხდა: **„ამ ეტაპისთვის საქართველოდან გატანილია 134 ტონა ხილი. კერძოდ, კახეთის რეგიონიდან 82 ტონა ატამი და ვაშლატამა გავიდა, შიდა ქართლიდან – 35 ტონა ბალი, ხოლო გურიიდან - 17 ტონა ლურჯი მოცვი. რაც შეეხება პროდუქციის ჩამონათვალს, ეს არის სურსათის ეროვნული სააგენტოსა და „როსსელხოზნადზორის“ მიმოწერის შედეგად შეთანხმებული ხილი. მოლაპარაკებები გრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია შემდგომ ეტაპზე სხვა პარტიაზე იყოს ლაპარაკი“.**

ატამი, ვაშლატამა, ბალი და მოცვი რუსეთის ბაზრისკენ მას შემდეგ დაიძრა, რაც საქართველოში რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ფედერალური სამსახურის – „როსსელხოზნადზორის“ – 4-კაციანი დელეგაცია ჩამოვიდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, რუსი სპეციალისტები 23 ივნისიდან ერთი კვირის განმავლობაში თავად აწარმოებდნენ საექსპორტო პროდუქციის ფიტოსანიტარიულ კონტროლს. ამიერიდან კი ხილისა თუ ბოსტნეულის კონტროლისა და სერტიფიცირების პროცესს ქართველი ფიტოსანიტრები განახორციელებენ.

„ამაში იგულისხმება დათვალიერება, მიკროსკოპული კვლევა, მათ შორის, ლაბორატორიული კვლევა. ეს ხდება შერჩევით, გარკვეული ბიჯის დაცვით, არ ხდება მთლიანი პარტიის შემოწმება. არის თუ არა საკარანტინო ობიექტი – ამის გარკვევა, არსებული პრაქტიკის მიხედვით, დახედვის საფუძველზეც არის შესაძლებელი. ტვირთი – ის, რომელიც დააკმაყოფილებს რუსეთის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს და თავისუფალი იქნება რუსეთისთვის საკარანტინო მავნე ორგანიზმებისგან, თავისუფლად შევა ბაზარზე“, – უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ვერიკო გულუამ.

რუსეთის ბაზარზე პროდუქციის, მაგალითად, ატმის გატანის აზრს კახეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში ხედავენ, თუკი გასაყიდი ფასი მისაღები იქნება. ამასთან, გლეხები შიშობენ, რომ შუამავალ კომპანიებს მათზე გაცილებით დიდი მოგება დარჩებათ.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს რადიო „თავისუფლებას“, პროდუქციის გატანის საშუალება აქვს ყველას, ვინც საჭირო დოკუმენტაციას მოაგროვებს, და სახელმწიფო არანაირად არ ჩაერევა ამ პროცესში. უწყების ინფორმაციით, ეს მხოლოდ კერძო სექტორის საქმეა და ფერმერებმა და პროდუქციის გატანის მსურველმა ბიზნესმენებმა საერთო ენა ერთმანეთში უნდა გამონახონ.

აქვე ვთქვათ, რომ დაბალი რისკის შემცველი პროდუქცია – მაგალითად: ჩაი, დაფნა თუ ჩირი – რუსეთის ბაზარზე, 7-წლიანი პაუზის შემდეგ, 2013 წლის 28 ივნისიდან დაუშვეს. 2013 წლის 14 ოქტომბრიდან კი მწვანე შუქი აინთო ქართული თხილისთვის, ციტრუსისთვის, ყურძნისთვის, ვაშლისთვის, მსხლისა და კომშისთვის.

საქართველოს ხელისუფლება არ მოელის, რომ, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის კვალდაკვალ, რუსეთი ისე გაუბრაზდება საქართველოს, რომ კარს მიუხურავს მისკენ სულ ახლახან დაძრულ პროდუქციას. თუმცა, ზუსტი პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს. პირველი დეტალები გაირკვევა 7 ივლისიდან, როცა ერთმანეთს რუსი და ქართველი ექსპერტები შეხვდებიან. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა 30 ივნისს, ამ პროცესში ჩართული იქნება მისი უწყების წარმომადგენელიც: **„ეს არის წმინდა პრაქტიკულ დონეზე დაგეგმილი შეხვედრა, რომელმაც, შეცვლილი პირობების გამო, რაც საქართველოს ახალ ვითარებაში აყენებს, უნდა განსაზღვროს, არის თუ არა რაიმე ცვლილება მოსალოდნელი ორმხრივ ურთიერთობებში“.**

ექსპერტების აზრი კი ამ მხრივ არაერთგვაროვანია. **თუკი ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთს ემბარგო და ვითარების ასეთი დაძაბვა, უბრალოდ, თავადაც არ აძლევს ხელს, მეორე ნაწილი მოელის, რომ რუსეთი ადრე თუ გვიან, დასჯის მიზნით, აუცილებლად დაუხურავს კარს საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციას.**

ლელა კუნჭულია

◎ ქართული ბიზნესი

ეკონომიკური სანქციებისათვის მზად არიან

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას მაშინვე მოჰყვა განცხადებები, რომელთა ავტორებიც რუსეთის პირველი პირები, ან მათი წარმომადგენლები არიან. ამ განცხადებების პათოსი ერთნაირია: „საქართველოს, ისევე როგორც უკრაინისა და მოლდოვის, სუვერენული უფლებაა, რა გზას აირჩევს, მაგრამ ჩვენ აუცილებლად მივიღებთ თავდაცვით ზომებს, თუ ახალი რეალობა რუსულ ბაზარზე ნეგატიურად აისახება“.

ბუნებრივია, გაუგებარია რა იგულისხმება „თავდაცვით ზომებში“, ან როგორ იმოქმედებს რუსეთი, თუ „რაღაც“ არ მოეწონება, თუმცა, ქართული ბიზნესის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ სანქციები ძირითადად ეკონომიკური ხასიათისა იქნება.

ზურაბ ჩხაიძე, კომპანია „კახური ტრადიციული მეურნეობის“ ხელმძღვანელი:

— ჩვენ რუსული ბაზრისთვის ზიანის მიყენება არც შეგვიძლია და არც გვსურს, პირიქით, გვინდა, შევინარჩუნოთ ეს ბაზარი და გავაგრძელოთ იქ აქტიური საქმიანობა. ზოგადად რუსეთის დამოკიდებულება ყველასათვის ნათელია და ჩვენც ამ სიტუაციაში სიფრთხილე გვმართებს, დაფიქრებულად უნდა იქნას გადადგმული თითოეული ნაბიჯი. ისე, ბიზნესისათვის რისკი ყველა ქვეყანაშია - მაგალითად: უკრაინაში საომარი მდგომარეობაა, რაც თავისთავად რისკია, ყაზახეთში ადგილობრივი ვალუტის კურსმა დაიწია და იქაც არის ჩვენთვის რისკი. ბიზნესიც იმიტომ არის ბიზნესი, რომ ყოველთვის ახალი მეთოდები და მიდგომა სჭირდება, რომ ნებისმიერ რისკს გაუმკლავდეს. ახლა მთავარია, როგორ გამოიყენებს ევროპის ქვეყნებთან გაჩენილ ახალ პერსპექტივებს საქართველო, ქართული ბიზნესი. ჩვენი კომპანია შექმნილ სიტუაციას მშვიდად ხვდება, რადგან ყველა განვითარებას თავისი რისკი მოჰყვება. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ წელს ოთხი ქარხნის მშენებლობა დავიწყოთ. ახალ ქარხნებში ყველაფერი ევროკავშირის სტანდარტების და „აისო“ სერტიფიკატის შესაბამისად იქნება დაცული. ჩვენ ვდებთ ინვესტიციებს, რომ უფრო საინტერესო გახდეს ევროკავშირთან ჩვენი კომერციული ურთიერთობები. თუმცა, იმისთვისაც ვიბრძვით, რომ რუსული ბაზარიც შევინარჩუნოთ, რადგან ეს ბაზარი ჩვენთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია: იქ ჩვენს პროდუქციას ცნობენ და აფასებენ. ერთი წელია, რაც რუსეთში ჩვენი პროდუქცია შევიტანეთ და კიდევ უფრო ვაფართოებთ ჩვენს ქსელებს. ამ წუთას ჩვენი კომპანია 15 ქვეყანაში ოპერირებს და არასოდეს გვიფიქრია ვინმეს ვინმეთი ჩანაცვლება. ყველაზე პატარა ქვეყნის ბაზარსაც კი დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ევროპის ქვეყნებშიც ნელ-ნელა უფრო მეტი ინტენსივობით დავიწყებთ საქმიანობას. რა თქმა უნდა, თავიდანვე დიდი რაოდენობის პროდუქციას ვერ გავიტანთ, მაგრამ თანდათან ვეცდებით, იქაც თავი დავიმკვიდროთ. ასე რომ, პოზიტივი ძალიან ბევრია. ევროკავშირთან დაახლოებით ზოგადად ჩვენი ქვეყანა და ქართული ეკონომიკა მხოლოდ მოგებული დარჩება.

მიხეილ ხუნდაძე, კომპანია „ჯივიეს“-ის გენერალური დირექტორი:

„რუს ჩინოვნიკებს რა იდეები მოუვათ თავში, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ არა მგონია, რუსული ბაზარი დახურონ, უფრო გადასახადების მხრივ იქნება წნეხი“

— წინასწარ ძნელია ითქვას, რა ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, თუმცა, ქართველმა მეღვინეებმა 2006 წლის რუსული ემბარგოს შემდეგ იმდენი რამ გამოვიარეთ, უკვე აღარაფერი გაგვიჭირდება. რუს ჩინოვნიკებს რა იდეები მოუვათ თავში, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ არა მგონია, რუსული ბაზარი დახურონ, უფრო გადასახადების მხრივ იქნება წნეხი, რაც ფასებზე იმოქმედებს -ეს ჩემი, სუბიექტური აზრია. ქართულმა მეღვინეობამ 2006 წლის შემდეგ ურთულესი წლები გამოიარა. ფეხზეც მძლავრად დადგა და დღეს ჩემი აზრით, ეს საკმაოდ ძლიერი დარგია. შეზღუდვები თუ დაიწყო, რასაკვირველია, ეს გავლენას მოახდენს ქართული ღვინის ინდუსტრიაზე, მაგრამ დარგი იმდენად მყარად დგას ფეხზე, რომ ადვილად შეძლებს გადართვას სხვა ბაზრებზე. ყველა ქვეყნის ბაზარი ძალიან მნიშვნელოვანია და მათ შორის, რუსულიც, თუმცა, არსებობს ძალიან დიდი პოტენციალის მქონე ქვეყნები, მაგალითად ჩინეთის ბაზარი, რომელიც ჯერ კიდევ აუთვისებელია. იქ ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესები ახლა იწყება. პოლიტიკამ შეიძლება ჩვენზე გავლენა იქონიოს, მაგრამ დღეს ქართული მეღვინეობა ძალიან დივერსიფიცირებულია: ქართული კომპანიები წარმოდგენილნი არიან როგორც ევროპაში, ისე აზიაში, ამერიკასა და რუსეთში, შესაბამისად, ერთი ბაზრის შეზღუდვა, რა თქმა უნდა, „დაგვარტყამს“. თანაც, რუსეთში ყოველთვის პოპულარობით სარგებლობდა ქართული ღვინო. ამ შვიდწლიანი დეფიციტის შემდეგ დაბრუნება ისეთი მასშტაბისა იყო, რომ კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, როგორ ყოფილა მონატრებული მომხმარებელი ჩვენს პროდუქციას. 2006 წლის შემდეგ, როცა ბაზარი დაგვიხურეს, ქართული ღვინის ადგილი იქ სხვა ქვეყნებში წარმოებულმა ღვინომ დაიკავა: ეს იყო მოლდავური, დასავლეთ ევროპული ღვინოები, მაგრამ შვიდი წლის შემდეგ ქართული ღვინო რუსეთში ძალიან ადვილად დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, რუსული ბაზრის დაკარგვა ჩვენთვის ტრაგედია არ იქნება და დახურვის შემთხვევაში კონდრაბანდის გზით ნამდვილად არ დავიწყებთ რუსეთში ჩვენი პროდუქციის შეტანას, შესაბამისად, იმ ნაწილს, რასაც იქ ვერ შევიტანთ, სხვა ბაზრებზე გავყიდით. მართალია, ჩვენი ღვინის ცნობადობა რუსეთში გაცილებით მეტია და ვერ შევადარებთ, მაგრამ სწორი მუშაობის შემთხვევაში ცნობადობის ამაღლებაც შეიძლება, იმიჯის შექმნაც და ადგილის დამკვიდრებაც. იმის თქმა, რომ ევროპული, ან სხვა ქვეყნის ბაზარი რუსულს ერთ თვეში, ან ერთ წელიწადში ჩაანაცვლებს, ილუზია იქნება, მაგრამ ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ...

„ჯორჯიან ბიზნეს ინსიატის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ლეძვინაძემ ამ თემის განხილვისას გვითხრა:

—ასოცირების ხელშეკრულება არანაირად არ კრძალავს სხვა ქვეყნებთან და გაერთიანებებთან თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებს. თუ რუსეთმა თვითონ არ გაართულა ჩვენთან ურთიერთობა, ეს ხელშეკრულება თავის მხრივ არაფერს შეცვლის. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთის გადაწყვეტილებებზე, მის ხასიათზე — იმაზე, თუ რამდენად საჭიროდ მიიჩნევს რუსეთი შეზღუდვების დაწესებას. ვინაიდან ეს ქვეყნები — უკრაინა, მოლდოვა და საქართველო ცდილობენ გასვლას მისი ინტერესების სფეროდან, რამდენად დასჯის ამ ქვეყნებს ეკონომიკური სანქციებით. თუ რუსეთი ამას გადაწყვეტს, მაშინ, რა თქმა უნდა, ქართველ ექსპორტიორებს, ვისაც რუსულ ბაზარზე შეაქვს თავისი პროდუქცია, გარკვეული ზარალი მიადგებათ, მაგრამ ჩვენი ეკონომიკა ამით ნამდვილად არ დაზარალდება და დაიქცევა. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ასეთი სანქციები არ იქნება, რადგან რუსეთმა იცის — ასეთი მეთოდებით ქმედით გავლენას ვერ მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. ამაში ის ერთხელ უკვე დარწმუნდა, როდესაც 2006 წელს ემბარგო გამოაცხადა. უნდა ვაღიაროთ, რომ რისკი მაღალია და ყველა მეწარმემ, ვინც რუსეთის ბაზარზე მუშაობს, იცის: იქნებოდა თუ არა ეს ხელშეკრულება, რისკი მაინც არსებობდა და ახლაც არსებობს. რუსეთის მიერ ეკონომიკური სანქციების გატარების შემთხვევაში დანაკარგები მართლაც გვექნება, თუმცა, არა ისეთი, რომ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი გვეთქვა.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ საცალო ვაჭრობა

ინვესტირების პერსპექტივა საქართველოში

სხვადასხვა ეკონომიკურ საერთაშორისო რეიტინგში საქართველოს ადგილით საკმაოდ კარგად შეიძლება იმის გარკვევა, თუ რამდენად პერსპექტიულ ქვეყნად აღიქვამენ საქართველოს მსოფლიოში და რამდენად მიმზიდველია იგი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, ეკონომიკური თვალსაზრისით.

ამ კუთხით საინტერესო იყო ამ დღეებში გამოქვეყნებული გლობალური საცალო ვაჭრობის განვითარების 2014 წლის ინდექსი, რომელიც საცალო ვაჭრობაში ინვესტირებისთვის ყველაზე პერსპექტიული განვითარებადი ქვეყნების რეიტინგს განსაზღვრავს. ამ რეიტინგში საქართველო მე-7 ადგილზეა - ჩილეს, ჩინეთის, ურუგვაის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, ბრაზილიისა და სომხეთის შემდეგ.

გლობალური საცალო ვაჭრობის განვითარების ინდექსი განსაზღვრავს იმ 30 ტოპ-ქვეყანას, რომლებიც საინტერესოა მთელი მსოფლიოსთვის საცალო ვაჭრობის გაფართოების კუთხით. ინდექსში გაანალიზებულია 25 მაკროეკონომიკური და ასევე საცალო ვაჭრობასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები იმ მიზნით, რომ დაეხმაროს საცალო ვაჭრობით დაინტერესებულ პირებს, აღმოაჩინონ განვითარებადი ბაზრები და მოახდინონ მათში ინვესტირება.

ამ ინდექსის ყოველწლიურ რეიტინგში საქართველო, გასულ 2013 წელთან შედარებით, ერთი პოზიციით არის დაწინაურებული.

საინტერესოა, რომ საქართველოსთვის მინიჭებული ქულები ასე გადანაწილდა: ბაზრის მიმზიდველობა — 32,4 ქულა (100-დან); ქვეყნის რისკი — 32,8 ქულა (100-დან); ბაზრის გაჯერებულობა — 79.6 ქულა დროის დეფიციტი — 55,9 ქულა საბოლოო ჯამში, GRDI-ის რეიტინგში ქვეყანამ 55,9 ქულა დააგროვა.

GRDI-ის რეიტინგში მეზობელი სომხეთი საქართველოს, როგორც აღვნიშნეთ, ერთი ადგილით უსწრებს; რუსეთს მე-12 ადგილი უჭირავს, თურქეთს — მე-11. აღსანიშნავია, რომ ჩვენი კიდევ ერთი მეზობელი, აზერბაიჯანი, ბოლო — 30-ე პოზიციაზეა.

2014 წლის კვლევის მთავარ მიგნებებში ავტორები მსოფლიოში საინტერესო ტენდენციებზე მიანიშნებენ. კერძოდ, ამ ბიზნესში ინვესტიციების ჩადების მსურველები საკმაოდ აქტიურად იყენებენ ელექტროკომერციის საშუალებებს, რათა უკეთ მოახდინონ სტრატეგიულ ბაზარზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე უნიკალური პასუხები მოძებნონ.

რეიტინგში საკმაოდ წარმატებულმა ადგილმა, წესით, მსოფლიოს იმ ინვესტორთა დაინტერესება უნდა გამოიწვიოს, რომლებიც საცალო ვაჭრობის ბაზარზე დღემდე დიდად არ აქტიურობდნენ. კერძოდ, თუ საგარეო ინვესტიციების სტატისტიკას გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ 2012-2014 წლებში საცალო სექტორის ვაჭრობაში ინვესტიცია საკმაოდ მცირეა და ჯეოსტატს, „სხვა დანარჩენ“ მცირემასშტაბიან ინვესტიციებთან ერთად, ეს კატეგორია 16 პროცენტში ჰყავს შეყვანილი.

ეს მაშინ, როცა ვაჭრობის ბრუნვა, ზოგადად, საკმაოდ საინტერესოა. მაგალითად, 2013 წელს საქართველოში ბიზნესის 12 მილიარდ 109-მილიონიანი ბრუნვიდან 6 მილიარდ 311 მილიონის ბრუნვა ვაჭრობასა და წვრილი საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტზე მოდიოდა.

შესაბამისად, ეს სტატისტიკაც ცხადყოფს, რომ საცალო ბიზნესში ფულის ჩადება საქართველოში საკმაოდ მომგებიანი საქმეა. ამიტომ, საქართველოში საკმაოდ მოკრძალებული საგარეო ინვესტიციების ფონზე, ამ შესაძლებლობების გამოყენება და წახალისება, უდავოდ, მნიშვნელოვანი საქმე უნდა იყოს.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „03 ივლისის“
№ ს-388 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსმონავტების ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. ვაიოს მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 55 200 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაიო.
7	აუქციონის საწყისი ფასი	9 600 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	960,0 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	7 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 04 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „03 ივლისის“
№ ს-389 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსმონავტების ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორთაბათუმის მიმდებარე ტერიტორია, მდ. „ყოროლისწყლის ლოდნარის გამოვლინება“. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 26 526 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორთაბათუმი
7	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1000 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	7 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 04 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „03 ივლისის“
№ ს-390 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კოსმონავტების ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 39 750 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	6 913 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	691,3 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	5 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 04 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „03 ივლისის“
№ ს-391 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომსომოლის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ერგეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჭოროხზე „ჭოროხის (II-უბანი) ჭიმა-ხრეშის გამოვლინება“. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 55 500 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ერგე
7	აუქციონის საწყისი ფასი	9 653 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	965,3 ლარი
9	უპირობო და გამოუსმობი საბანკო გარანტიის/ზეგ თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	7 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 04 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „03 ივლისის“
№ ს-392 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომსომოლის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. „აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“. (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 24 000 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	4 173 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	417,3 ლარი
9	უპირობო და გამოუსმობი საბანკო გარანტიის/ზეგ თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 04 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 05 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ კაკალ გულში

ნერტილოვანი ფრაზები

● ფეისბუკ(ქ)ელებო, თქვენი სახელით რუსთავი 2“—ზე გადაცემაში „სოციალური ქსელი“, ნიკა ქავთარაძე, ზაქრო ინწკირველი და გოჩა თანდარაშვილი მიშას და ნაცებს უკეთებენ რეკლამას.

რამდენ ადამიანს აქვს საქართველოში ფეისბუქი? ყოველ სამშაბათს „რუსთავი 2“—იდან ეს ხალხი გებულობს იმას, რომ სოციალურ ქსელებში ყველას უყვარს გოგა ხაჩიძე და არ უყვარს ღარიბაშვილი.

ერთი ტელე, ან რადიოარხი მითხარით, სადაც ქოცებს აქებენ!

ქოცებო, თქვენი პიარიც რა ვთქვი!

● იმია: ირმა

ფამილია: ნადირაშვილი

პოლ: მაკარტნი.

● „ახლობლები ვიწრო წრეში პოლიტიკურ ვანგას მეძახიან“ — განაცხადა მაია ორჯონიკიძემ.

● ამდენჯერ ცოლ-ქმარს არ ჰყავთ ერთმანეთი ნანახი, რაც უგულავას და პროკურორს. ფლირტია?

● „გიგი უგულავა: კიშინოვში მარტო იმიტომ წავალ, რომ დავბრუნდე!“

თუ „მარტო იმიტომ“ მიდის, წასულიყო, აგერ, იორმუღანლოში, - დროც დაეზოგებოდა და ფულიც.

● სადაა ჩვენი სოლიდარობა?

დღეს ჩვენ, ყველა, სარკოზები არ ვართ?!

ან, უარეს შემთხვევაში, ოსტატები („მასტერა“) მაინც!

● გიგი უგულავა, რამდენიმე დღეა, მხატვრული სახეებით ამეტყველდა. დღეს, მაგალითად, შარიკოვის მსგავსი შოთაძეო — თქვა.

საოცარია, რომ გვარი შარიკოვი სმენია! გივი თარგამაძეს კაცია მუნჯაძე ეცოდინება. პროსტა ვერ ამბობს.

● ესე იგი, როგორ გაუჭირდა არასრულ 2 წელიწადში ამხელა ლეგიტიმაციის მქონე პოლიტიკურ ძალას, რომ კოორდინატორები დარბიან სადარბაზოებში და მოსახლეობას ეკითხებიან, აგარაკზე ამოგაკითხავთ ივლისის ბოლოს, სად იქნებითო. ზუსტად იციან, რომ იმ 40%-ის ნახევარიც აღარ მივა არჩევნებზე, ან თუ მივა, მათ სასარგებლოდ აღარ გააკეთებს არჩევანს ... აი, მოხერხება უნდა ამას.. მეტი გაუნათლებელი, მეტი უწიგნური, ხეპრე და უვიცი ჰყავდეთ მთავრობაში და საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩევლის თითო-თითოდ გამოსაყვანად აქლემების ქარავანი მოამზადონ. ეჰ ჩემო უბედურო და უდღეურო ქვეყანავ, ის აწმყო, რომელიც არ გწყალობს, საუბედუროდ, არ მთავრდება.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

სოციალურად დაუცველ ოჯახებს ახალი მეთოდიკით შეაფასებენ

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სოციალური მომსახურების სააგენტომ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიისა და ახალი კრიტერიუმების პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციას შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელი საქართველოში საშა გრაუმანი, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი გაიოზ თალაკვაძე და სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

როგორც პრეზენტაციაზე ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, არსებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების კრიტერიუმებს გააჩნდა ორი ჯგუფის ხარვეზები, კერძოდ, დასაშვებზე მეტი იყო სოცაგენტების მიერ ოჯახების მიმართ სუბიექტური შეფასება და ასევე არსებობდა ხარვეზები თავად მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ქულების მინიჭების სისტემა ერთგვარ პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოიყენებოდა. გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად ჯანდაცვის სამინისტრო შეიმუშავებს ახალ მეთოდოლოგიას, რომელიც იქნება სამართლიანი და გამჭვირვალე იმ სისტემასთან შედარებით, რაც იყო.

როგორც პრეზენტაციაზე გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელმა საშა გრაუმანმა განაცხადა, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, კერძოდ, მოიმატა ხანდაზმულობის პენსიის ოდენობამ და გაიზარდა მიზნობრივი სოციალური დახმარება, თუმცა, ამით სიღარიბე მნიშვნელოვნად არ შემცირებულა ქვეყანაში. ამ ცვლილებებმა ნაკლები გავლენა მოახდინეს იმ 50 000 ბავშვზე, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება და დღეში მხოლოდ 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარს, ასევე იმ 250 000 ბავშვზე, რომლებიც დღეში მხოლოდ 4 ლარზე ნაკლებს მოიხმარს. არსებული მონაცემები ნათელყოფს, რომ საჭიროა, სოციალურად დაუცველი სისტემის გადახედვა და ახალი მექანიზმების შემუშავება, რომელიც უფრო დახვეწილი იქნება და მეტად დაეხმარება გაჭირვებულ ოჯახებს და სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვებს.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, გაეროს ფონდმა ჯანდაცვის სამინისტროს ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის რამდენიმე მოდელი შესთავაზა და გაგრძელდება მუშაობა სასურველი მოდელის შესარჩევად და მისაღებად, რომელიც უფრო მეტად მოერგება ჩვენს სიტუაციას.

ინტერპრესი

◎ ვის დავალებას ასრულებენ?

ფასეულობები, რომლის გასხვისებაც არ შეიძლება

„ძართული მიწა, წყალი, მდინარე, საბადოები — ეს ის ფასეულობებია, რომლის გასხვისება არ შეიძლება“, — ამის შესახებ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა. ილია მეორის თქმით, უცხო ხალხს გააჩნია ბევრი საშუალება, ფული, რათა ეს ყველაფერი იყიდოს და საქართველო დარჩეს სრულიად ცარიელი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ შთამომავლობაზე.

„არის შემთხვევები, როცა ხდება არა გაყიდვა, არამედ 50, 90, 100 წლით გასხვისება. მაგალითად, ტყის გასხვისება. ტყე რომ განადგურდეს, განადგურდება ხალხიც. 100 წელი რად უნდა ტყის განადგურებას, ერთი კვირაც ეყოფა, რაც ძალიან საშიშია“, — აღნიშნა პატრიარქმა.

ცნობისთვის, სულ ახლახან საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო ის ნორმა, რომელიც უცხოელებს უკრძალავდა, გამხდარიყვნენ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეები. საუბარია საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სადავო ნორმის მიხედვით, 2014 წლის 31 დეკემბრამდე უცხოელ ფიზიკურ პირებს შეჩერებული ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების შეძენის უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველი გახდა ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ (სამეთვალყურეო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე ამერიკის მოქალაქე მარკ მალენი) მიერ მომზადებული სარჩელი იმის თაობაზე, რომ მიწაზე დაწესებული მორატორიუმი დაუშვებელია, რადგან ის ზღუდავს კერძო პირის უფლებებს.

მარკ მალენის მოსაზრებით, **„იდეა, რომ სახელმწიფო ფლობს მიწას, უცნაურია და იგი ისტორიის მანძილზე ასე მკვეთრად განსაზღვრული არ იყო. ამგვარი ხედვა ნელ-ნელა ძველდება“. „საქართველოში არის ხალხი, ვისაც ეს ყველაფერი აწუხებს. ისინი ამბობენ, რომ ეს მათი ქვეყანაა და ახალჩამოსულებზე ნერვიულობენ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ორასი წლის წინ თბილისი სავსე იყო არაბებითა და ირანელებით. „ახლად ჩამოსულებს“ უცხოდ აღიქვამენ და ეს შფოთვის საბაბს ქმნის“.**

ცნობისთვის, მარკ მალენს საქართველოში ბინზესინტერესები აქვს. იგი წილებს ფლობს „ჯეო კაპიტალსა“ და „ბეტსის“ სასტუმროში. სოციალურ ქსელებში გავრცელებული ფოტოს მიხედვით, მარკ მალენი საკუთარი კომპანიის („ჯეო კაპიტალის“) პრეზენტაციაზე სააკაშვილის გვერდით დგას. უფრო ადრე კი მალენი „ენ-დი-აი“-ს საქართველოს განყოფილების უფროსი იყო.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დარღვეული მორატორიუმის შემდეგ უცხოელებზე ქართული მიწის გასხვისების შესაძლებლობამ იმატა. სხვადასხვა მონაცემით, უცხოელთა საკუთრებაში 30 ათას ჰექტარამდე მიწა მოექცა. თუმცა, სამწუხაროა, რომ საქართველოში ამ მხრივ ზუსტი სტატისტიკა არ იწარმოება.

ჯერ კიდევ 2010 წელს გაეროს დაქვემდებარებულმა ორგანიზაციამ გამოხატა გაკვირვება იმის გამო, რომ საქართველოში არ აღირიცხებოდა მიწები და არ ხდებოდა მიწის ბალანსის შედგენა. **2004 წლის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი შეადგენდა 3025.8 ათას ჰექტარს. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემებით, აღრიცხული იყო მხოლოდ 838,0 ათას ჰექტარი. თუმცა, სად იკარგებოდა 2187,6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, დღემდე უცნობია.**

რა რაოდენობის მიწა გასხვისდა საქართველოში უცხოელებზე და არის თუ არა ქვეყანა საფრთხის ქვეშ?

დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ უცხოელებზე ყველაზე საუკეთესო მიწები გაიცემა, რაც კი მოიპოვება კახეთსა და თბილისის შემოგარენში (სააგარაკო ნაკვეთები) და არა ვთქვათ — ხარაგაულის რაიონში, სადაც არავინ წავა.

„ამ გოგოს — ეკა გიგაურს მზითევში ხომ არ მოყვა საქართველოს მიწები? ეს უკანონობა მას საკონსტიტუციო სასამართლოში პაპუაშვილმა დაუმოწმა. ნაციონალები თავისას არ იშლიან და ყოველივე ეროვნულის წინააღმდეგ გამოდიან. ეკა გიგაური ნაციონალების საქმეს აკეთებს. მაშინ დააზუსტოს გიგაურმა, რამდენი მიწაა გაყიდული სომხეთში ან აზერბაიჯანში, სადაც აკრძალულია მიწის გაყიდვა, ან ისიც თქვას, შეიძლება თუ არა მიწის გაყიდვა ისრაელში, მოადგა მაინცდამაინც დაპატარავებულ საქართველოს, სადაც დემოგრაფიული მდგომარეობა უმძიმესია, ხალხი გარბის, მიწების 20% წაღებულია და რაც დაგვრჩა, ამ მიწებსაც ვყიდით. თუ ასე გაგრძელდა, საქართველო აღარ იქნება. ეკა გიგაურის უკან უცხოელების ინტერესია. კატასტროფული მდგომარეობაა მსოფლიოში, ასეულ მილიონობით ადამიანს სუფთა სასმელ წყალზე არ მიუწვდება ხელი, აქ წყალიც არის და ყველაფერიც, თუკი კაცი ხელს გაანძრევს, საკვები არ მოაკლდება. ეკა გიგაურის, ნინო ლომჯარიას, კახა კოჟორიძის საერთაშორისო ორგანიზაციებს ფულს უხდის ის ხალხი, რომელიც თავის ინტერესზე ფიქრობს. დღე არ გავა, რამდენიმე ინტერვიუ ამ სამმა ადამიანმა გადარბენით არ მისცეს. მათ ხომ არ უნდა შევწიროთ მთელი საქართველო?“ — აცხადებს ანზორ თოთაძე და განმარტავს, რომ დაზუსტებით არავინ იცის, მაგრამ უცხოელებზე 30 ათას ჰექტარზე ბევრად მეტი მიწაა გაყიდული. მარტო შარშანწინ კახეთში მიწის გაყიდვის 544 შემთხვევა აღირიცხა.

გარდა ამისა, უამრავი „შერეკილი მილიარდერია“, რომელიც „ნაკვეთებს“ ყიდულობს მთვარესა და მარსზე. ასეთ საოცარ ბუნებას კი ვინ დატოვებს?! „ერეკლე მეფე, 75 წლის კაცი, დიდი მთავარსარდალი ხმლით ხელში იბრძოდა ამ მიწისთვის აღამაჰმად-ხანის წინააღმდეგ, ასეთი ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს, რომ ამ ასაკის კაცს ასე ეომოს, ჩვენ კი რას ვუტოვებთ შთამომავლობას?!“

ექსპერტი აგრარულ საკითხებში პაატა კოღუაშვილი მიიჩნევს, რომ ერისთვის წყევლაა, როცა არ ისმენს სულიერი მოძღვრის ჭეშმარიტ მოთხოვნას. **მისმა უწმინდესობამ დააყენა საკითხი, რომ უცხოელთა მიმართ გამოყენებულ იქნას გრძელვადიანი იჯარა. კერძოდ, გრძელვადიანი იჯარის ორი ფორმა არსებობს - პირველი 49 წელს მოიცავს, ხოლო მეორე ახალი ფორმაა და გრძელვადიან გასხვისებად იჯარას ნიშნავს, ანუ უცხოელი, რომელიც 20 წლის შემდეგ გადაწყვეტს, რომ არ გააგრძელოს საქმიანობა ამ მიწაზე, უფლებას იღებს, გაასხვისოს ამ იჯარით სარგებლობის უფლება და მიწა ავტომატურად ხდება ბაზრის ობიექტი.**

„უცხოელებზე 30 ათასი ჰექტარია გასხვისებული. ეს მონაცემები შემდეგნაირად დაანგარიშდა: საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი არის 3 მილიონ 250 ათასი ჰექტარი, აქედან 803 ათასი ჰექტარი არის სახნავი, დაახლოებით 270 ათასამდეა მრავალწლიანი ნარგავი — ვაზი, ხეხილი და სხვა, მილიონ 800 ათასი ჰექტარია საზღვარი. ეს არის ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი. ინტენსიურ სავარგულებს განეკუთვნება სახნავს დამატებული მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, ეს არის სადღაც მილიონ ასი ათასი ჰექტარი.

სახელმწიფო დანაშაული ჩაიდინა საკონსტიტუციო სასამართლომ, როცა უცხოელი მოქალაქის სარჩელი დააკმაყოფილა და არ გაითვალისწინა 2014 წელის 31 დეკემბრამდე არსებული მორატორიუმი. საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ უნდა შექმნას მიწის დაცვის ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს ნებისმიერ მოთხოვნას მიწის შესყიდვის თუ იჯარის შესახებ. ეს შეზღუდვები უნდა უკავშირდებოდეს საქართველოში ლეგიტიმურ ცხოვრებას. იმავე ავსტრიელმა, რომელმაც გვიჩივლა, რატომღაც არ გაიხსენა, რომ ავსტრიის კანონში პირდაპირ ჩაწერილია, რა შემთხვევაში გაიცემა მიწა არაავსტრიელ მოქალაქეზე: უცხოელი ათი წელი მაინც უნდა ცხოვრობდეს ავსტრიაში ლეგიტიმურად, მას უნდა ჰქონდეს აგრარული განათლება, აგრარულ სფეროში მუშაობის გამოცდილება, შესაბამისი ფინანსები და სხვა“, — აცხადებს პაატა კოღუაშვილი For.ge-სთან საუბარში.

ეკონომიკის ექსპერტი პაატა არაშიძე განმარტავს, რომ საქართველოში ძალიან დიდი რაოდენობით მიწაა უცხოელებზე გასხვისებული. უბრალოდ, აქ ორი მომენტია — უცხოელს პირად საკუთრებაში აქვს მიწა ან მიწა ქართველის საკუთრებაშია, ოღონდ რეალურად უცხოელი განკარგავს.

„მორატორიუმს დადებითი ის ჰქონდა, რომ ჩერდებოდა უცხოელებზე მიწების გაცემა, განსაკუთრებით, საზღვრისპირა რეგიონებში. ახლა ზოგიერთი ამბობს, ხომ ვერ მოიკიდებს ვიღაც მიწას და ხომ ვერ წაიღებსო, მაგრამ თვითონ ეს პროცესია საშიში, რადგან მას საკუთრების უფლება გადაეცემა მიწაზე და არათუ გაყიდის, არამედ ჩამოასახლებს თვისტომს. ნეტავ, გვქონდეს იმდენი მიწა გასასხვისებლად. ისრაელში მიწა სახელმწიფოს საკუთრებაა, რომლის გადაცემაც გრძელვადიან საკუთრებაში ხდება ისრაელის მოქალაქისთვის, მაგრამ გაყიდვა კატეგორიულად აკრძალულია. პატრიარქის ნათქვამი დროულია, რადგან მიწა ის არის, რაზეც მატერიალურად არსებობს სახელმწიფო.

თუ ჩვენ გვინდა ყველაფერი გავასხვისოთ, ამით სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. სამწუხაროდ, საქართველოდან უცხოეთში იგზავნებოდა განცხადებები, ინდოელებო, პაკისტანელებო, ჩამოდით საქართველოში, აიღეთ მიწები, კანონმდებლობა კარგია, ხელს შეგიწყობენ. ამაში მონაწილეობდნენ ჩვენი საერთაშორისო ორგანიზაციები. დადასტურებით ვერ ვიტყვი, ამაში „საერთაშორისო გამჭვირვალობაც“ ერია თუ არა, მაგრამ უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო — ასეა ჩვენი საქმე. წმინდა ეკონომიკური პრინციპიდან გამომდინარე, ვერანაირ სარგებელს ვერ ვხედავ, რომ უცხოელმა აიღოს ჩვენი მიწა. პოლიტიკური გადასახედიდანაც, ეს პირდაპირ სახელმწიფო უსაფრთხოებას უკავშირდება. მეზობელი ქვეყნების ინტერესები იკითხება — იმავე თურქეთის, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში, სომხეთის, აზერბაიჯანის.

რამდენიმე წლის წინათ ბურების ჩამოსახლება უნდოდა წინა ხელისუფლებას. სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობა მოწოდებულია უცხოელთა და არა საქართველოს მოქალაქეთა დასაცავად“, — აღნიშნა For.ge-სთან საუბარში პაატა არაშიძემ და არ გამორიცხა, ამ საქმეში მარკ მალენსაც (ამერიკის მოქალაქეს) ჰქონდეს ინტერესი, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ უკან დგას.

ზოგადად, ექსპერტის აზრით, ვინც მორატორიუმის მოხსნით იყო დაინტერესებული, ან პოლიტიკური ინტერესი ჰქონდა, ან — ეკონომიკური, ან კიდევ — დავალებას ასრულებდა“.

იმის გასარკვევად, აწარმოებენ თუ არა საქართველოში უცხოელებზე გასხვისებული მიწების სტატისტიკას, ჩვენ სხვადასხვა ინსტანციებს დავუკავშირდით, თუმცა, ერთი უწყება მეორისკენ გვამისამართებდა. ასე აღმოჩნდა, რომ სტატისტიკის ეროვნული სამმართველო, სოფლის მეურნეობის თუ ეკონომიკის სამინისტროები არ აწარმოებდნენ ამგვარ აღრიცხვას. საბოლოოდ საჯარო რეესტრს დავუკავშირდით, სადაც წერილობით მიმართვა გვთხოვეს, თუმცა, დღის ბოლომდე საჯარო რეესტრიდან პასუხი არ მიგვიღია.

მანანა ნოზაძე

დედამიწის ზურგზე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ჩავიდა სეულში ასობით ბიზნესმენის გარემოცვით

სი ცზინპინმა დაარღვია ძველი ტრადიცია და კორეის ნახევარკუნძულზე პირველ მოგზაურობაში გაემგზავრა სეულს, და არა ფხენიანს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სამხრეთ კორეას შორის ურთიერთობებს განსაზღვრავენ ეკონომიკური ინტერესები, ამჟამად კი ორი ქვეყნის ლიდერს იმედი აქვთ გამონახონ ურთიერთგაგება იაპონიის დემილიტარიზაციასთან და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვულ და სარაკეტო პრობლემებთან დაკავშირებით.

* * *

ნიკოლა სარკოზიმ მის წინააღმდეგ აღძრულ საძმეს პოლიტიკური უფლებამოსილებათა მოხსნიდან პირველად თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ ქვეყანაში მართლმსაჯულების სისტემას იყენებენ პოლიტიკური მიზნებით, ხოლო „გავლენით ვაჭრობის“ გამოკვლევა, რომელშიც მას სდებენ ბრალს, წამოწყებულია იმ მიზნით, რომ დაამცირონ იგი და მოახდინონ მისი დისკრედიტაცია, მას ხომ შეუძლია კიდევ ერთხელ იბრძოლოს ქვეყნის პრეზიდენტის სავარძლისთვის 2017 წელს.

* * *

„ნასამ“ გამოაძვეყნა კოსმოსური „ფეიერვერკის“ ფოტო — ცვლილებებისა, რომლებიც ხდება გალაქტიკაში შავი ხვრელის გავლენით

გამოსახულებაზე მოჩანს, რომ გალაქტიკას NGC 4258, რომელიც სპირალს მოგვაგონებს, ამშვენებს ორი „სახელური“, რომლებიც ანათებენ რენტგენის გამოსხივებით. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ისინი შედგება გაზისაგან, რომელიც შავი ხვრელის გავლენით ცხელდება და ტოვებს სისტემას.

* * *

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა მოიწონა კიევის ოპერაცია უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში, რუსეთი კი შეაშფოთა რუსეთ-უკრაინის საზღვარზე გამშვები პუნქტის მისამართით სროლამ

„ბრძოლა სეპარატისტებთან ატარებს „თავშეკავებულ ხასიათს“, განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-მდივანმა ჯენიფერ პსაკიმ. მისი სიტყვებით, უკრაინის ხელისუფლება „დგამს ნაბიჯებს მათ საკუთარ ქვეყანაში სიმშვიდის შესანარჩუნებლად“. ამ დროს რუსეთის ხელისუფლება აცხადებს რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო პუნქტის დაზიანების შესახებ.

◎ უკვდავების ბინადარი

ის ახლაც 26 წლისაა...

ასეთი უცნაურები ვართ და რას ვიზამთ? საქართველოში (არ ვიცი, სხვაგანაც თუა ასე), დღემდე გრძელდება იმის „კვლევა“ (ურთიერთშორის, რა თქმა უნდა), რომელი სახელოვანი გვარია „ნამდვილი“ წარმოშობის, მაგალითად, მავანი, „ნამდვილი“ ლორთქიფანიძეა თუ გლეხი, მავანი, „ნამდვილი“ აბაშიძეა თუ გლეხი, მავანი, „ნამდვილი“ წერეთელია თუ გლეხი... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ჟურნალისტი **ვილენ მარდალეიშვილი** ახლახან გამოცემულ თავის მომცრო მონოგრაფიაში — **„ნამდვილი წერეთელი“**, გამორჩეული მამულიშვილის, მწერლის, პოეტის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის **ნუგზარ წერეთლის** 80 წისთავს რომ ეძღვნება, გვარწმუნებს, ბატონი ნუგზარი **„ნამდვილი“** წერეთელიაო, თუმცა, მთავარი აზრი მონოგრაფიისა, მაინც ისაა, თავისი ქართველობით, კაცობით, საქმის სიყვარულით, ნიჭით, კაცთმოყვარეობით... როგორ ჰგავს ნუგზარ წერეთელი, მართლაც ნამდვილ, სახელოვან, საამაყო წერეთლებს, რომელთა სახელები ქართველ კაცს გულზე ახატია და შეხსენებას არ საჭიროებს...

წიგნში, აქა-იქ, ნუგზარ წერეთელი გვიამბობს თავისი ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს, მაგალითად, ურთიერთობას ზღვის ტალღებს შეწირულ **გურამ რჩეულიშვილთან**. ნუგზარი და გურამი უახლოესი მეგობრები იყვნენ. ჰოდა, აბა, ვის უნდა ეზრუნა 26 წლის ასაკში უღვთოდ გარდაცვლილი უნიჭიერესი მწერლისა და უგულითადესი მეგობრის სახელის წარმოჩენისთვის, თუ არა ნუგზარ წერეთელს?.. მანაც კაცურად აღასრულა ეს ვალი — დაწერა დიდებული წიგნი **„მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“** (ზოგი რომ სამართლიანად ადარებს ნიკა აგიაშვილის ასევე დიდებულ წიგნს „ჭაბუკები დარჩნენ მარად“), რომელიც უკვე რამდენჯერმე გამოსცა და მკითხველს სულ მისხალ-მისხალ გააცნო, ზედმიწევნით დაუხატა დღეს უკვე დიდ მწერლად აღიარებული „ალავერდობის“ ავტორის პორტრეტი.

მოგვიანებით, ნუგზარ წერეთელი აარსებს საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოებას, გურამის უმცროსი დის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის მარინე რჩეულიშვილისა და, ასევე, გურამის ახლო მეგობრის, სახელგანთქმული მხატვარ-მონუმენტალისტის ზურაბ წერეთლის დახმარებით, სცემს მწერლის ექვსტომეულს და დღემდე მართავს ხოლმე გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ ხსოვნის საღამოებს...

გურამ რჩეულიშვილი დღეს, 4 ივლისს 80 წლისა გახდებოდა, ნუგზარ წერეთელი მოკლედ უყვება ვილენ მარდალეიშვილს თავისი უახლოესი მეგობრის დაღუპვის, 1960 წლის 23 აგვისტოს დატრიალებული ტრაგედიის შესახებ.

— **იმ ზაფხულს** რამდენიმე მეგობარს ზღვაზე გვინდოდა ერთად დასვენება, მაგრამ აღარ გამოვიდა — ივლისის ბოლოს მოსკოვში მომიწია წასვლამ. სადგურზე მეგობრები მაცილებდნენ, მათ შორის გურამიც. მალე თბილისიდან გამოგზავნილი წერილიდან შევიტყვე, რომ გურამი გაგრაში წასულიყო დასასვენებლად. მეც ვაპირებდი იქ ჩასვლას, მაგრამ ვეღარ მოვახერხე. თბილისში 21 აგვისტოს დავბრუნდი. 23 აგვისტოს გვიანობამდე ვიჯექი და ვკითხულობდი. ძილი გამიტყდა, ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც კარზე დააკაკუნეს. შემოვიდა გაფითრებული, ხმაჩავარდნილი ედიშერ რჩეულიშვილი, გურამის უახლოესი ნათესავი და მეგობარი, — რა მოხდა-მეთქი — ვკითხე, მაგრამ ჯერ ვერაფერი მიპასუხა, შემდეგ კი აკანკალებული ხმით თქვა, გურამი დაიხრჩოო. წარმოუდგენელია იმ წუთის აღწერა, იმ ელდისა და ტკივილის გადმოცემა, ცრემლები მახრჩობდა და სულს ძლივს ვითქვამდი.

დილის ექვს საათზე მე და ბორის ინასარიძე გავფრინდით ადლერში. საშინელი ამინდი იდგა, გადაუღებლად წვიმდა. გავიგეთ, რომ გურამი აზვირთებულმა ტალღამ გაიტაცა და ვეღარ იპოვეს. სოხუმიდან სპეციალურად მოწვეული მყვინთავებიც კი ვერ ახერხებდნენ მღვრიე, ტალახისფერ წყალში ჩასვლას, კატერის ან გლისერის ჩაშვებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

გაგრაში დაწვრილებით შევიტყვეთ, სხვების სიცოცხლის გადარჩენის გამო, როგორ დაიღუპა გურამი გამძვინვარებულ ზღვასთან ორთაბრძოლაში.

საოცარია პირდაპირ, უკანასკნელ ღამეს დედისადმი მიძღვნილი ლექსი დაუწერია, რომელშიც კარგად იგრძნობა ბედისწერის მოახლოება:

„დედა, ნუ ჩამოხვალ ზღვაზე,
ზღვა ძალიან ღელავს,
შენ სუსტი ხარ, დედა,
ზღვა დაგახრჩობს შენ,
მე თოლია ვარ,
ქარს და ტალღებს ვეთამაშები“.

გურამის ძებნა გრძელდებოდა, მთელი დღე დავდიოდით ზღვის პირას. ზღვა ისევ ღელავდა, ღმუოდა... კოშმარად ქცეული ოთხი დღის შემდეგ ღელვა ოდნავ დაწყნარდა. გურამი იპოვეს გაგრიდან ჩვიდმეტი კილომეტრის დაშორებით, განთიადის მიმართულებით. ჩვენ ამ დროს კატერით შორს ზღვაში ვიყავით გასულები. ზღვა ნაფოტივით ათამაშებდა კატერს... უცებ ნაპირზე მაშხალა გაისროლეს და დაბრუნების ნიშანი მოგვცეს. გურამი უკვე მოესვენებინათ. საბოლოოდ ვნახეთ იგი. ზღვას მარჯვენა მკლავი მოეტეხა და ისე დაემორჩილებინა...

გარდაცვალების შემდეგ განვლილმა წლებმა ოცდაექვსი წლის ჭაბუკად დარჩენილ მწერალს საყოველთაო აღიარება მოუტანეს, ქართველმა ერმა ერთხმად აღიარა გურამ რჩეულიშვილის ძლიერი ტალანტი, ორიგინალური აზროვნება... იგი ჩვენი ერის სახელოვანი მწერლების რიგში დამსახურებულად იკავებს თავის საკუთარ ადგილს...

რა გასაკვირია, სევდიანია ეს დღეები ჩემთვის, ვცდილობ, წარმოვიდგინო მოხუცი, 80 წლის გურამი... ვერა და ვერ წარმომიდგენია... გურამის დაუდგრომელ ბუნებას წლებით დაძაბუნება არ ესადაგება. ღმერთმა ინება, რომ იგი ოცდაექვსი წლის ასაკში, როგორც გალაკტიონი იტყოდა, უკვდავების ბინადარი ყოფილიყო.

სურათზე: სხედან — ნუგზარ წერეთელი (მარცხნივ) და გურამ რჩეულიშვილი (მარჯვნივ) სამხედრო შეკრებაზე დუშეთში, 1956 წ.

◎ ტამიშის ბრძოლების ექო

საძმო საფლავები მოსაძებნია

21 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ოჩამჩირის რაიონის სოფელი ტამიში და მისი მომიჯნავე სოფლები სისხლისმღვრელი ბრძოლების მომსწრე გახდა. ერთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველი სამხედროები წინააღმდეგობას უწევდნენ ზღვიდან გადმოსხმულ, რუსეთის მიერ მართულ დესანტს. ეგულებათ თუ არა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საფლავები ტამიშის ტერიტორიაზე და შესაძლებელი იქნება თუ არა მათი გადმოსვენება?

კობა ლიკლიკაძე: დუშეთის ბატალიონმა, „მხედრიონმა“, „ავაზამ“, შავნაბადის ბატალიონმა თუ ზვიად გამსახურდიას მომხრე ეროვნულმა გვარდიამ, რომელიც ტამიშის დესანტის მოსაგერიებლად სამთავრობო შენაერთებთან ერთად იბრძოდა, 10-მდე უმძიმესი, სისხლისმღვრელი დღე გადაიტანა. ყველაფერი 2 ივლისს დაიწყო. მაშინ ქართველი სამხედროები გმირობის მაგალითს იძლეოდნენ და საბოლოოდ გაანადგურეს კიდეც ძირითადად რუსებით, ჩრდილოკავკასიელი დაქირავებულებითა და აფხაზი მებრძოლებით დაკომპლექტებული ძლიერი და კარგად მომზადებული დესანტი. ამ ბრძოლაში შავნაბადის ბატალიონის ერთ-ერთ განშტოებას — „პირველი საარმიო კორპუსის დაზვერვის ცალკეულ ბატალიონს“ — იმხანად 25 წლის გიორგი თავდგირიძე ხელმძღვანელობდა და თავადაც იყო ჩართული ბრძოლაში, სადაც მოწინააღმდეგეებს სამი ტანკიც აუფეთქეს და საგრძნობი დანაკარგიც აგემეს. თუმცა, როგორც თავად თავდგირიძე აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას, ტამიშის ბრძოლების მნიშვნელოვანი გამარჯვება ქართულმა მხარემ სათავისოდ ვეღარ გამოიყენა. სახელდება ძირითადი მიზეზიც:

„მთავარი პრობლემა იყო ის, რომ შეიარაღებული ძალების უკან არ იდგა სახელმწიფო და სახელმწიფო პოლიტიკა — არ ხდებოდა დანაკარგების შევსება. თითქმის ერთწლიანი ბრძოლების შემდეგ, ქვედანაყოფები სისხლისგან იცლებოდა და შევსებას ვერ იღებდნენ. აქედან გამომდინარე, თავდაცვით ბრძოლებში მიღწეული წარმატება ვერ ტრანსფორმირდებოდა გარკვეულ ოპერატიულ წარმატებაში“.

28 ივლისს, ასეთი უპირატესობის ფონზე, ხელი მოაწერეს კაბალურ სამშვიდობო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის — მათ შორის, საარტილერიო ტექნიკის — გადატანას, პირობითად, ფრონტის იმ ხაზიდან 10-15 კმ-ის დაშორებით...

დიდი დანაკარგის მიუხედავად, რაც, სხვადასხვა წყაროს ცნობით, რამდენიმე ასეულს შეადგენს, რადიო „თავისუფლების“ სამხედრო მიმომხილველ კობა ლიკლიკაძის ინფორმაციით, ტამიშსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მასშტაბური სამარხები არ იქნება, რადგანაც მოხერხდა ამ ბრძოლებში დაღუპულთა ძირითადი ნაწილის გადმოსვენება.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მოქმედებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის განყოფილება, რომელიც, შეიძლება ითქვას, ამავე სახელწოდების სახელმწიფო კომისიის სამართალმემკვიდრედ მიიჩნევა. განყოფილების წარმომადგენელი ვლადიმერ დობორჯგინიძე, რომელიც პირველი დღიდან არის ჩართული უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების პროცესში და რომელმაც თავადაც 24 წლის ვაჟი დაკარგა სოხუმში, იმედოვნებს, რომ ბაბუშერის აეროპორტის ტერიტორიაზე დაღუპულთა ცხედრების ამოცნობის შემდეგ, რომლებსაც დნმ-ის გამოკვლევა უტარდებათ, პროცესი სხვა ტერიტორიებზეც გადაინაცვლებს და ტამიშის ჯერიც მოვა:

„ჩვენ გვაქვს 30 სამარხი — ჯგუფური და არამარტო ერთეული — მათ შორის არის: ქეთევანა, კოჩარა, მაჭარკა, სოხუმის სხვადასხვა რაიონი, იარშტულა თუ ტამიში. ტამიშში ვინც დაიღუპა, გადმოასვენეს, რა თქმა უნდა, ბევრი, მაგრამ, თუ კიდევ ვინმე დაკარგულია ან გადმოსვენებულთა შორის კიდევ ვინმე იქნება უცნობი, დნმ-ის საშუალებით დასადგენად „წითელი ჯვარი“ ყველაფერს გააკეთებს“.

ვლადიმერ დობორჯგინიძის ინფორმაციით, ბაბუშერის სამარხის შემდეგ სოხუმის მინისტრთა საბჭოს შენობის შტურმის დროს დაღუპულთა სამარხი გაიხსნება. კოლექტიურ სამარხში ექსპერტებს 47 ქართველი ეგულებათ.

ლელა კუნჭულია,
რადიო „თავისუფლება“

◎ პატივგება

კოლეგათა სადიდებელი

სპორტული ჟურნალისტიკის საერთაშორისო დღე სამინისტროში

სპორტული ჟურნალისტიკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ახალგაზრდა ჟურნალისტის ბაჩო სვანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის — „ღიმილის ბიჭი“ — პრეზენტაცია გაიმართა. გამოცემა სამინისტროს და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ძალისხმევით მომზადდა.

წიგნში შესულია ბაჩო სვანიძის მეგობრების და კოლეგების მოგონებები, ასევე ინტერვიუები მსოფლიო სპორტის ვარსკვლავებთან, რომელიც 2005-2008 წლებში გაზეთ „სარბიელში“ გამოქვეყნდა. მათ შორის ინტერვიუები დიეგო მარადონასთან, მარსელ დესაისთან, ტანა უმაგასთან, გაბრიელა საბატინისთან, კრის ევერტთან, ეკატერინა გამოვასთან, მარიო პესკანტესთან. გამოცემაზე ავტორთა ჯგუფი მუშაობდა ლაშა გოდუაძის, ილია ბაბუნაშვილის და თამაზ მიგრიაულის შემადგენლობით. იმავე დღეს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ოთხი ჟურნალისტი სხვადასხვა პრემიით დააჯილდოვა: მიხეილ კაკაბაძის სახელობის ჯილდო ვეტერან ჟურნალისტს დემიკო ლოლაძეს გადაეცა; კოტე მახარაძის სახელობის პრიზით თემურ ჯაფარიძე დაჯილდოვდა; ელენე ბილიხოძეს ეროსი მანჯგალაძის პრემია ხვდა, ბადრი კეთილაძეს კი — გურამ თიკანაძის სახელობის ჯილდო.

სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღე 1920 წლიდან აღინიშნება, ხოლო 1924 წლის 2 ივლისს პარიზში, ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია — AIPS — დაარსდა.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია — სსჟა, რომელიც 1991 წლის 19 აპრილს დაფუძნდა, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში 1992 წლის 30 აპრილს გაწევრიანდა. სსჟა, თავის მხრივ, 1959 წელს დაარსებული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის მემკვიდრეა. სსჟას პირველი პრეზიდენტი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი გახლდათ, 2013 წლიდან კი სსჟას გია გორგოძე ხელმძღვანელობს.

კოგა კოგახიძე

◎ ადამიანი დროში

კვლავაც სამშობლოს სამსახურში დგას

ბათუმში გამართულ მოსწავლეთა საქართველოს პირველობაზე ნახევარფინალური გარბენი რომ მოიგო, მასთან სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილების უფროსი არკადი არხანგელსკი მივიდა, ფინალში გასვლა მიულოცა და სარბენი ფეხსაცმელები აჩუქა — ამით იასპარეზე და ჩემპიონობას ვერავინ შეგეცილებაო, უთხრა. მარტო დარჩენილმა დიდხანს ატრიალა ფეხსაცმელი, ქაცვებიანი ლანჩებიც მოუსინჯა. ჩინური კედებით დარბოდა და „შიპოვკები“ პირველად ნახა. მწვრთნელს უთხრა, ამათ რა ვუყოო. გაეცინა. ჩაიცვი და ირბინეო, უპასუხა. მეორე დღეს 100 მეტრი 11 წამში დაფარა, პირველი ადგილი დაიკავა და წინა დღის შედეგი საგრძნობლად გააუმჯობესა. ის ჩემპიონი 14 წლის სენაკელი ვლადიმერ კანკავა გახლდათ.



ასე დაიწყო გზა დიდი სპორტისკენ. მძლეოსნობაში წარმატებებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი შეიცვალა:

— სენაკში ჩემს მეზობლად ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი კარლო ჯოჯუა ცხოვრობდა, - იხსენებს ჭაბუკობის წლებს ბატონი ვლადიმერი. — სახელოვანი ფალავნები ჰყავს გაზრდილი: ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი შოთა მორჩილაძე, გიორგი მაკალათია, გივი ლომინაძე, ზურაბ ჯორჯიკია, ემზარ მორგოშია, ალეკო მურღულია და სხვები. ეს ალღოიანი მწვრთნელი, თურმე, წლების განმავლობაში მაკვირდებოდა. ამიერკავკასიის პირველობიდან სენაკში რომ დავბრუნდი, საჭიდაო დარბაზში წამიყვანა და მითხრა — დღეიდან შენი ადგილი აქ არისო.

მარცხნიდან — რომან რურუა, ვლადიმერ კანკავა, კოტე ღუღუნიშვილი, თამაზ მაჭავარიანი ფალავანთა კლუბში, 1966 წელი.

და მართლაც, ვლადიმერ კანკავამ ხალიჩაზე 9 წელიწადი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ბევრ სახელოვან ფალავანს შეხვედრია. 1961 წელს როსტოვში „დინამოს“ საკავშირო საბჭოს გუნდურ პირველობაზე მსოფლიოს ჩემპიონ ვლადიმირ სტაშკევიჩს სძლია. ის ფინალური ორთაბრძოლა რუსეთის „დინამოსთან“ თბილისელებმა 6:4 მოიგეს და ჩემპიონობა მოიპოვეს. ამ წარმატებაში ვლადიმერ კანკავას წვლილიც ერია. საქართველოს ნაკრებში ოლიმპიური ჩემპიონის გივი კარტოზიას ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა. ამ კაცისგან არა მარტო ჭიდაობა, არამედ მთელი ცხოვრება ვისწავლე, თუ რამეს მივაღწიე, ეს ბატონი გივის დამსახურებაა, ხშირად უთქვამს ამაგდარ პიროვნებას. მიღწევით კი ვლადიმერ კანკავამ მართლაც ბევრს მიაღწია:

1967 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ზედიზედ ექვსი შეხვედრა მოიგო, ერთიც ფრედ დაამთავრა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა, თან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობისა და საბჭოთა კავშირის სტუდენტთა თამაშების გამარჯვებულმა, საქართველოს სამგზის ჩემპიონმა ახალგაზრდებსა და უფროსებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ვერცხლის მედლები დაიმსახურა. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ იყო ჭიდაობის სახეობებში საქართველოს სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი (1972-1977), ჭიდაობაში საქართველოს უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორი (1977-1979), თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1979-1989) და თავმჯდომარე (1989-1992), თბილისის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსი (1992-2001), დედაქალაქის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე (1999-2004), საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდის“ პირველი თავკაცი (1991-2002), სეოკ-ისა (2002-2004) და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის აღმასკომის წევრი (1972-2008). საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (1977), საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე (1999), ღირსების ორდენისა და სოკ-ის მედლის (2000) კავალერი ამჟამად ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია.

— მთელი ცხოვრების განმავლობაში ბევრი რამ მინახავს — კარგიცა და ცუდიც, სიხარულიც მახსოვს და წყენაც მიწვნევია, მაგრამ საქმისთვის არასდროს მიღალატია. დედაქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეობამ, სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსობამ რთულ პერიოდში მომიწია. უმძიმესი პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, თბილისი საქართველოში სპორტული მოძრაობის ეპიცენტრად დარჩა. დედაქალაქის მერიის მაშინდელი ხელმძღვანელობის თანადგომით მრავალი პროექტი განვახორციელეთ. ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად დიდ ყურადღებას ვაქცევდით საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მარტივი ტიპის სასპორტო მოედნების კეთილმოწყობას, რეგულარულად იმართებოდა მასობრივი ღონისძიებები. კუს ტბაზე საფუძველი ჩავუყარეთ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომბინატის მშენებლობას. სხვა ბევრი კარგი საქმეც გაკეთდა...

და დღესაც წლების სიმრავლით მხრებდამძიმებული ვლადიმერ კანკავა კვლავაც ქვეყნის სამსახურში დგას და ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, ჭაბუკური ენერგიით ისევ სიკეთეს ემსახურება.

ვაჟა დანელია

◎ კალათბურთი

„ხიმკი“ მარკოიშვილით დაინტერესდა

რუსულ „ხიმკის“ ქართველი კალათბურთელის მანუჩარ მარკოიშვილის გადაბირება სურს. აღნიშნულ ინფორმაციას basketinside.com ავრცელებს.

როგორც ირკვევა, ხიმკელებს „მანუს“ ტრანსფერი ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად დაუსახავთ, თუმცა, ჯერჯერობით სტამბოლელთა დათანხმებას ვერ ახერხებენ.

შეგახსენებთ, რომ მარკოიშვილი თურქულ „გალათასარაიში“ ირიცხება და ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, ამდენად, სტამბოლელებს მასთან თანამშრომლობის გაგრძელება სურთ.

ისიც ვთქვათ, რომ მომავალ სეზონში „გალათასარაი“ ევროლიგაში ითამაშებს, „ხიმკის“ კი ევროთასზე ასპარეზობა ელის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მშვენიერ ანხელას კოლუმბიის ნაკრები ეიმედება

კოლუმბიელი მოდელი ანხელა სერენა სხვა მრავალი ლამაზმანის მსგავსად ამჟამად ბრაზილიაში იმყოფება და თავის მშობლიურ საფეხბურთო ნაკრებს ისეთი გულმხურვალეობით ქომაგობს, მის ცქერას მართლაც რომ არაფერი სჯობს.

როგორც თავად ეს კისკისა ასული ამბობს, კოლუმბიის ნაკრების მეოთხედფინალში გასვლა მის სამშობლოში ბევრისათვის წარმოუდგენელი წარმატება იყო, თუმცა იგი მიღწეულით არ კმაყოფილდება და იმედი აქვს, რომ დღეს კოლუმბიელი ბიჭები მასპინძელ ბრაზილიასაც გამოუყვანენ წირვას.

ანხელა სერენას უკან გამუდმებით დასდევენ თანამემამულე ჟურნალისტები და მისი ყოველი ნაბიჯი კოლუმბიაში ნამეტნავად აინტერესებთ. ახლა „ნაბიჯი“ ფიგურალურად ვთქვით, თორემ შეხედეთ ამ ქალს და რაც აინტერესებთ, ეს ისედაც ცხადია..

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მუნდიალი — 2014

დღეს ისინი დაუსტვენენ

ფიფას ოფიციალურმა ვებგვერდმა მსოფლიოს ჩემპიონატის დღევანდელი ორი მეოთხედფინალის მსაჯების დანიშვნის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. ბრაზილიისა და კოლუმბიის დაპირისპირებას ესპანელი არბიტრები მოემსახურებიან კარლოს ველასკო კარვალიოს მეთაურობით. ეს უკანასკნელი ბრაზილიურ მუნდიალზე ურუგვაი-ინგლისის (2:1) და ბოსნია ჰერცეგოვინა-ირანის (3:1) შეხვედრებს გაუძღვა. საფრანგეთისა და გერმანიის მეოთხედფინალური ბრძოლის მთავარ მსაჯად კი 39 წლის არგენტინელი ნესტორ პიტანა დაინიშნა, რომელმაც თავისი საქმე რუსეთი-სამხრეთ კორეის (1:1), აშშ-პორტუგალიისა (2:2) და ჰონდურასი შვეიცარიის (0:3) თამაშებზე შეასრულა.

გიორგი შოთაძე

◎ სხვა გაზეთიდან

ჰიტლერი ნიანგი გახდა

სპეციალური რეპორტაჟი ნეპალში „სულთა გადასახლების ცენტრიდან“

„სამხედროები მშვიდობისთვის მებრძოლებად გადაიქცევიან, გარყვნილი ქალები — უმწიკვლო დედაკაცებად. ხოლო თუ ადამიანს ცეცხლის ეშინია — შეიძლება, წინა ცხოვრებაში ის ხანძრის დროს დაიღუპა“. ჩვენი გაზეთის მიმომხილველმა გაარკვია რეინკარნაციის ყველა საიდუმლო.

სული ახალ სხეულში დაკრძალვის კოცონის კვამლს გადაჰყავს

მოსკოველმა 45 წლის ბიზნესმენმა ფიოდორმა გაყიდა თავისი ფირმა და გაემგზავრა ნეპალში — „ჯერ ექვსი თვით, მერე ვნახოთო“. შეკითხვაზე, თუ რა უნდა გააკეთოს მან იქ, ფიოდორმა მკაცრად თქვა: „მოვძებნო სწორი ხელმეორედ დაბადება“, — ვინაიდან სჯერა სულების გადასახლებისა. „დროა, გავხდე ასკეტი, — ფიქრობდა ის. — ვიარო უტანსაცმლოდ, ვჭამო მხოლოდ ხილი და არ ვაწყენინო სხვა ადამიანებს. მაშინ, თუნდაც უკანასკნელი არამზადა იყავი, გაქვს შანსი დაიბადო ადამიანად. მე კი ვატყუებდი კლიენტებს, საგადასახადოს. გარდაცვალების შემდეგ კი მოულოდნელად გავჩნდები ქვეყანაზე მეფედ ან თრიად?“ გასაოცარია, მაგრამ უკანასკნელ წლებში ნეპალში ათასობით რუსი იმყოფებოდა, რომლებიც ერთ რამეს უჩიოდნენ — უზრუნველეყოთ ნორმალური გარდასახვა... სხვა ცხოვრებაში.

როგორ დავიბადოთ როკ-ვარსკვლავად?

კატმანდუს გარეუბანში ინდუისტური სატაძრო კომპლექსი პაშუპატინატხი „სულთა გადასახლების მთავარ ცენტრად“ ითვლება. აქ მლოცველები მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან, რათა ისწავლონ „სწორი გარდაქმნა“. არის სპეციალური „მიცვალებულთა სახლიც“ კი, სადაც ღრმად მოხუცებულები მი-



ვიშნუ-ბაბა

დიან, — ქურუმები მათ ვარსკვლავების მიხედვით უწინასწარმეტყველებენ, რად და როდის შეიძლება გარდაიქმნან ისინი. ტაძრების გარშემო მთის გამოქვაბულებში ცხოვრობს ასობით საადხუგანდეგილი-იოგი, რომლებიც ცდილობენ, შეიძინონ ღირსეული სხეული სიკვდილის შემდეგ.

— პუნარჯანმეში, ესე იგი სულთა გადასახლებაში, არაფერია განსაკუთრებული, — აცხადებს ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში ვიშნუ-ბაბა, რომელიც პაშუპატინატხიში ცხოვრობს აი, უკვე 30 წელია. — დავუშვათ, თქვენ შედიხართ მაღაზიაში, ყიდულობთ თქვენთვის პერანგს ან ჯინსებს — სწორედ ასევე სულს აქვს უნარი, აირჩიოს სხეული გემოვნების მიხედვით. რა არის საჭირო სწორი გარდაქმნისათვის? არ შეიძლება ჭამო ხორცი, მოატყუო, დახოცო ადამიანები და გქონდეს საქმე ძალიან ბევრ ფულთან. ეს საკმარისია, რომ მომდევნო ცხოვრებაში ღირსეული ადამიანი გახდე. ხშირად მეკითხებიან: რად გარდაიქმნებიან პოლიტიკოსები და მილიარდერები? აი, ჰიტლერი აუცილებლად ნიანგად გადაიქცა, ბილ გეიტსი კი, როგორც ჩანს, აფრიკული აფთარი გახდება.

წმინდანი — როგორც სპილო

— რობორ უნდა გავიგოთ, ვინ იყავი გასულ ცხოვრებაში? — კითხულობს რატინეშ-ბაბა, რომელიც პაშუნატინატხში 26 წელიწადია ცხოვრობს. — ძალიან მარტივად. ყველაზე ხშირად შენ გეზარება ის, რაც ადრე გიყვარდა. ყოფილი მეომრები მშვიდობისთვის მებრძოლები ხდებიან, ბანქოს მოთამაშეები — მღვდლები. სიმაღლის შიში — არის იმის ნიშანი, რომ წინა სხეულის მფლობელი ჩავარდა უფსკრულში ან ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ჩაუფიქრდით შინაგან შიშებს, და მიხვდებით, თუ სად იყო თქვენი სული ადრე. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველთვის იოლად როდი მიიღებ საჭირო ინკარნაციას, თუნდაც კარგი ქცევის დროს. წმინდანს შეუძლია გარდაიქმნას სპილოდ ან მაკაკად — ინდუიზმში ისინი ხომ წმინდა ცხოველები არიან. დიახ, მესმის — ევროპელებს ასეთი ვარიანტი ძნელად რომ მოეწონოთ.

რატინეშ-ბაბა

2007 წლამდე პაშუპატინატხის გვერდით მუშაობდა სპეციალური სამკურნალო მაშინდელი მეფის გიანენდრის პატრონაჟით. იქ მკურნალობდნენ ადამიანები, რომლებიც, თავისი მეორე ცხოვრების შეგრძნების დროს ღრმა ფსიქოლოგიურ შოკში აღმოჩნდნენ. 1994 წელს სამკურნალოში მოხვდა 22 წლის ფრანგი ქალი ნადია ჰამარი, რომელიც ამტკიცებდა, რომ წინა ცხოვრებაში იგი ესესელი ოფიცერი იყო, და ამეტყველდა ხოხდოიჩის კილოზე, თუმცა მანამდე მან ეს ენა არ იცოდა.

ძურუმი სამარადან

იმავე კლინიკაში მკურნალობდა ნ წლის ამერიკელი გოგონა, რომელიც პაშუპატინატხში მშობლებთან ერთად ჩამოვიდა: მან მოულოდნელად ლაპარაკი დაიწყო ძველბერძნულ ენაზე, განმარტავდა, რომ წინა ცხოვრებაში იყო ვაჭარი მამაკაცი(!) და სირაკუზში ცხოვრობდა. 2005 წელს ინციდენტი ბრიტანულ ფინანსისტთან მოხდა: ის იყო დაიწყო მედიტირება, რომ გაახსენდა — დაიღუპა მსხვერპლთშეწირვის დროს აცტეკების დედაქალაქ ტენოჩტიტლანში. ბრიტანელმა დაწვრილებით აღწერა ქალაქის ადგილი და ბუნება, თუმცა, მექსიკაში არასოდეს ყოფილა. შოკური მდგომარეობა ჩვეულებრივად გადის ერთ თვეში, ავადმყოფები მშვიდდებიან და მეტი აღარაფერი ახსოვთ: ინდუიზმში შემთხვევებს, როდესაც ადამიანში შემოიჭრება წარსული ცხოვრება, სანსარის ბზარებს უწოდებენ. სამკურნალო დაფინანსების პრობლემის გამო დაიხურა, და ამაოდ — „ბზარები“ არც ახლაა იშვიათობა. პაშუტანინატხში მიამბეს პენსიონერი ქალის შესახებ, რომელიც სამარადან იყო: როდესაც ტურში ჩამოვიდა, სიცხეში გონება დაკარგა, დილით კი, როდესაც სასტუმროში გაიღვიძა... „კოჭლ“ ჰინდიზე დაიწყო ლაპარაკი, ენაზე, რომელზეც ქურუმები საუბრობდნენ ინდოეთის სამხრეთში ჯერ კიდევ 50 წლის წინათ. 3 დღის შემდეგ ბებია განიკურნა.

პაშუპატინატხში ყველგან კოცონთა ტკაცანი გაისმის, ციდან თეთრ ქულებად ცვივა ფერფლი — შესასვლელში მარლის შესაკრავებს ყიდიან. ინდუიზმის თანახმად, სულს შეუძლია უსასყიდლოდ გარადაიქმნას სანსარის ბორბლის შიგნით, სანამ უარს არ იტყვის გრძნობის კმაყოფილებაზე. თუმცა, ჯერ მოგიწევს, გადაიტანო ოთხმოცდაცხრამეტი გარდაქმნა: წინააღმდეგ შემთხვევაში წრებრუნვას თავს ვერ დააღწევ. სხვათა შორის, უპატიოსნო ვაჭრებს (თუ სადხუს დავუჯერებთ) აქვთ შანსი გარდაიქმნენ მრავალშვილიან დედებად. თუმცა, მე არც ვიცი, გაეხარდება თუ არა ბიზნესმენ ფიოდორს ბედის ასეთი შემოტრიალება...

გეორგი ზოტოვი,
კატმანდუ (ნეპალი).

ოთარ ტურაბელიძე, მამუკა ვაშაკიძე, გოჩა ვაშაძე, ვაჟა ჯიჯავაძე, ოთარ კანდელაკი, სულხან ისაკაძე, მალხაზ კობიაშვილი, მანანა დუმბაძე, მიშა ბაქრაძე, თემურ ქურჩიშვილი, გიორგი ლაშხი, ნოდარ თოფურიძე სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს ნუგზარ გელოვანს ძმის

თემურ გელოვანის

გარდაცვალების გამო.

მერაბ დვალი, დავით ხვედელიანი ოჯახებით გულწრფელად თანაუგრძნობენ ქალბატონ რუსუდან ჭუმბურიძეს, ვახტანგ, თამაზ ჭუმბურიძეებს, ძვირფასი მეუღლისა და მამის, ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის

ბიძინა ჭუმბურიძის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

ნიკალას საავარაუდო საფლავი ბავშვისა აღმოჩნდა

კუკიის სასაფლაოზე ნაპოვნ ქვაზე გამოჩნდა წარწერა, რომელიც ნიკალას საფლავის აღმოჩენას არ ადასტურებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჟურნალისტმა მაია რამიშვილმა განუცხადა, კულტურის სამინისტროში მიიღეს გადაწყვეტილება, საფლავის ქვის ამოღების თაობაზე, რაც დღეიდან უნდა დაწყებულიყო. გუშინ კი, საფლავიის ქვის საპირისპირო მხარეს გამოჩნდა წარწერა — „შობიდან 3 წელი“, რაც ბავშვის საფლავის არსებობაზე მიუთითებს. ამასთან, რამიშვილის თქმით, საფლავის დირექციას დაუკავშირდა პირი, რომელიც ამბობს, რომ ის არის საფლავის მემკვიდრე და საფლავი ბავშვს ეკუთვნის.

რამიშვილის თქმით, შექმნილია კომისია, რომელშიც გაერთიანდნენ ფიროსმანის მკვლევარები და კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, განხილული და შესწავლილი იქნება როგორც პეტრე-პავლეს, ასევე კუკიის სასაფლაოსთან დაკავშირებული სარწმუნო ვერსიები.

ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარიამ თავიდანვე გამოთქვა ვარაუდი, რომ საფლავი, შესაძლოა, ბავშვის ყოფილიყო.

იტალიის პოლიციამ ქართველების ჯგუფი დააკავა

იტალიის ქალაქ ნოვარას პოლიციამ ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციის ფარგლებში ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის 44 წევრი დააკავა.

ნოვარას პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულთა შორის ძირითადად ქართველები არიან, რომლებიც ე.წ. „რუსულ მაფიას“ მიეკუთვნებიან და ჩრდილოეთ იტალიაში ძარცვავდნენ ბინებს.

სპეცოპერაციის დროს 45 კილოგრამი ოქროს სამკაული და 200 კგ-ზე მეტი ვერცხლისა და სხვადასხვა სახის ძვირფასეულობა ამოიღეს. საერთო ჯამში, პოლიციამ 3 მილიონ ევროზე მეტი ღირებულების ქონების კონფისკაცია მოახდინა.

ინტერპრესი

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

◎ ჩვენი კარაბადინი

ასთმა და ცოტაც ნერვიულობა

შეტევას ფსიქოთერაპია ხსნის

ბრონქული ასთმა – უკვე დიდი ხანია აღარაა განაჩენი, თუმცა, ეს დაავადება განუკურნებელია. მაშასადამე, ადამიანი განწირულია მუდმივი მკაცრი კონტროლისათვის თავის მდგომარეობაზე, წამლების მიღებაზე.

ამჟამად ასთმის სამკურნალოდ სპეციალისტები სულ უფრო ხშირად იყენებენ ფსიქოთერაპიასაც. რით და როგორ შეუძლია მას დაგვეხმაროს?

თავისი თავის რეჟისორი

სულის ხუთვის ან ძლიერი ხველების შეტევა ასთმის დროს შეუძლია გამოიწვიოს არა მხოლოდ ალერგენთან შეხვედრამ, არამედ შეშინებამაც, კონფლიქტებმაც, სტრესმაც, ესე იგი, წმინდა ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმაც. რატომ? ემოციები გავლენას ახდენენ შეუცნობლობის დონეზე – ასე ააგო ბუნებამ ჩვენი ორგანიზმი. ასთმით ავადმყოფთა ფსიქიკის თავისებურებაა – უუნარობა შეგნებულად განვიცადოთ საკუთარი ემოციები. მუდმივ დაძაბულობას, ემოციურ უმყარობას მივყავართ იქამდე, რომ ნებისმიერი არასტანდარტული სიტუაცია შეიძლება გახდეს სასხლეტი კაუჭი დაავადების გამწვავებისათვის.

ფსიქოთერაპევტი გვეხმარება, რომ ის „ცუდი რამ“, რაც შეუცნობლობაში ჩასახლდა, გადავიყვანოთ ცნობადში, ესე იგი, ასწავლის ადამიანს თავისი ემოციების ფსიქოლოგიურ „გადამუშავებას“, მათს კონსტრუქციულ გამოხატვას. ნაბიჯ-ნაბიჯ პაციენტი ითვისებს შინაგან „მეს“ რეჟისურას: ესე იგი, თავისი რეაქციებით მომხდარის მართვის უნარს, იცვლება მისი შეხედულება ამა თუ იმ სიტუაციაზე, ქცევის მოდელზე. გვაძლევს საშუალებას მივაღწიოთ დაავადების შემსუბუქებას, ზოგიერთში კი შეხვედრაც ალერგენთან არ იწვევს, თითქოსდა, გარდაუვალ შეტევას...

მოზრდილების თამაშები

აი, კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, როგორ მიმდინარეობს ფსიქოკორექციის პროცესი? ბევრი რამ, რასაკვირველია, დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე, ავადმყოფის ასაკზე, მისი პიროვნების თავისებურებაზე. როგორც ექიმი-პულმონოლოგი არჩევს მკურნალობის სქემას, კონკრეტულ პრეპარატებს, მათ დოზებს, აანალიზებს შედეგებს, შეაქვს კორექტივები, ასევე ინდივიდუალურად მუშაობს ფსიქოთერაპევტიც.

მეთოდიკა, ხერხები, ტექნიკა შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ვინმე დაიწყებს არტ-თერაპიიდან: იყენებენ სპეციალურ ტესტებს (ნახატი ეხმარება ადამიანს გამოიყვანოს თავისი თავიდან გარეთ შიშები, განცდები, რომლებიც შეიძლება იყვნენ ღრმად შეგნებაში ანდა შეუცნობელი სახით). სხვებს ეხმარება სილის თერაპია: პაციენტს სთავაზობენ ლანგარს სილით, რომ შექმნას რაიმე სიუჟეტი. ამ დროს იყენებენ სხვადასხვა საგნებს (ადამიანების, მცენარეების, ცხოველების პატარა ფიგურებს, სათამაშო სახლებს, მანქანებს). კომპოზიციის შექმნა ქვეცნობიერად გვეხმარება ნაკრნახევი სიმბოლოების მიხედვით გამოვხატოთ შინაგანი განცდები უსიტყვოდ, გვაძლევს უშიშროების შეგრძნებას, თვითგამოხატვის საშუალებას, თავისუფლების გრძნობას. ფსიქოლოგი, როდესაც თვალყურს ადევნებს თამაშის მიმდინარეობას, „შიფრავს“ პაციენტის კონკრეტულ პრობლემებს, აანალიზებს სიტუაციას და, როდესაც სამუშაო დამთავრებულია, განხილვის დროს ეხმარება თავის საკონტროლო პიროვნებას მოახდინოს წარმოქმნილი პრობლემებისადმი მისი დამოკიდებულების კორექტირება, ეძებოს ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებები.

კარგ ეფექტს იძლევა თამაშებიც სხვადასხვა სიტუაციის მოდელირებით, როდესაც ფსიქოლოგი იძლევა შეკითხვებს, სთავაზობს სიუჟეტის განვითარების ვარიანტებს. მეცადინეობის ნაწილი შეიძლება მიეძღვნას სხვადასხვა ვარჯიშებს, მაგალითად, ისეთებს, რომლებიც გვეხმარება ავითვისოთ მოდუნების რჩევები. ერთი სიტყვით, ნებისმიერი ვარჯიში თავისებურად იგება. თუნდაც იგი იყოს არა ინდივიდუალური, არამედ ჯგუფური, – ყოველ პაციენტს თავისი მიდგომა აქვს. მთავარია – დავეხმაროთ მას განავითაროს პოზიტიური განწყობილება, ისწავლოს გამოხატოს თავისი გრძნობები, მართოს თავისი „მე“. ჯერ თამაშში, შემდეგ კი – რეალურ ცხოვრებაში.

როდის და ვის

ასთმის მკურნალობის დაწყება ფსიქოთერაპევტთან უმჯობესია დაავადების დასაწყისში – ეს უკეთესი ეფექტის მიღწევის საშუალებას იძლევა. დაავადების ფსიქოთერაპევტული კორექციის საწინააღმდეგო მაჩვენებლები არ არის. მკურნალობას უტარებენ როგორც მოზრდილებს, ისე ბავშვებს.

არის განსაკუთრებული პერიოდები, როდესაც იგი უბრალოდ აუცილებელია. უწინარეს ყოვლისა – ეს მოზარდის ასაკია. ხშირად თინეიჯერების მდგომარეობა უარესდება მძაფრი ჰორმონალური გარდაქმნის გამო. თანაც ესაა დრო, როდესაც მოზარდს ბევრი ფსიქოლოგიური პრობლემა უჩნდება, რასაც ხშირად დაავადების გამწვავებასთან მივყავართ.

ფსიქოთერაპევტთან მეცადინეობა სასარგებლოა იმ ქალებისათვისაც მენოპაუზის პერიოდში, რომლებსაც ჰორმონალური პაუზა უქვეითებს „იმუნიტეტს“ სტრესების წინააღმდეგ. რასაკვირველია, ასთმის ფსიქოკორექცია არ აუქმებს მთლიანად წამლებით მკურნალობას, არამედ გვაძლევს საშუალებას გადავიდეთ უფრო მცირე დოზებზე, გამოვიყენოთ ნაკლებად „ძლიერი“ პრეპარატები და, ამავე დროს, ვიქონიოთ დაავადება აღვირამოდებული.

ЗДОРОВЬЕ

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უეჭარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 (აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს.
– რაო, ბოდიშის მოხდა გადაწყვიტე?
– არა, ახალი სიტყვები მოვიგონე.

* * *

– მოსკოველი ბრძანდებით?
– არა, რუსი ვარ...

* * *

– ძალიან გამხდარხარ! ეს ახალი დიეტაა? – ეკითხებიან დაშას.
– ჰო, სტაფილო, ჭარხალი და კარტოფილი.
– როგორ გამოიყენე, მოხარშე თუ შეწვი?
– მოსავალს ვიღებდი!

* * *

– არ ვსვამ, არ ვეწევი, კარგი ხელფასი მაქვს, არც ერთი გოგო, თქვენი ქალიშვილის გარდა, ჩემთვის არ არსებობს.
– ახალგაზრდავ, ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ თქვენ მასზე არ დაქორწინდეთ. ისღა მაკლია, რომ ცოლმა შენი თავი სამაგალითოდ მომიყვანოს!

* * *

– გვეყოფა, ბიჭებო, სამსახურზე ლაყბობა, მოდი, ბოზებზე ვილაპარაკოთ...
– მოდი! ამის გახსენებაზე, ჰეტკა, როგორაა შენი ცოლი?

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24